ISSN—0132/6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიჯაფუნ

12-13 83

საიუბილეო

ნახ. ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ჟურნალ „ნიანგის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი **„ნიანგი“** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1988 წლის 27 ივნისი.

დაჯილდოება და საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ: **ადეიშვილი** ავთანდილ ნიკოლოზის ძე — ჟურნალ „ნიანგის“ ლიტერატურის განყოფილების გამგე, **აბაშიძე** მურთაზ ალექსანდრეს ძე — ჟურნალ „ნიანგის“ შტატგარეშე მხატვარი, **კუხალაშვილი** მიხეილ ლუკას ძე — ჟურნალ „ნიანგის“ უფროსი რედაქტორი, **ლომიძე** გივი ტიმოთეს ძე — ჟურნალ „ნიანგის“ შტატგარეშე მხატვარი, **მერაბიშვილი** ელგუჯა ალექსანდრეს ძე — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორ-ლიტმუშაკი, **ცინცაძე** ივანე პროკოფის ძე — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორ-ლიტმუშაკი, **ჯაჯანაშვილი** ნანა ოთარის ასული — ჟურნალ „ნიანგის“ კორექტორ-ტექრედაქტორი.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალის მხატვრულ რედაქტორს ამხ. ნოდარ ვლადიმერის ძე **მალაზონიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“.**

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“** მიენიჭოთ:

ბოლქვაძეს ზაურ ემელიანეს ძეს — ჟურნალ „ნიანგის“ მთავარ რედაქტორს, **ჭანიშვილს** ვაჟა ვასილის ძეს — ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

ბოსიკაშვილს გულნარა გრიგოლის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს, **გველესიანს** მარიამ სერაფიონის ასულს — ჟურნალ „ნიანგის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგეს, **დალაქიანს** სარა არტემის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს, **ლობჟანიძეს** ზინაიდა მინას ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მემონტაჟეს, **სიხარულიძეს** ბეჟან ნოეს ძეს — ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივანს, **ციციშვილს** სოფიო ლუარსაბის ასულს — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის გამგეს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები

ჟურნალ „ნიანგის“ დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით** დაჯილდოვდნენ ამხანაგები: **ასკურავა** დავით ალექსანდრეს ძე — შტატგარეშე კორესპონდენტი, **ბართაია** ნომადი ევგენის ძე — სარედაქციო კოლეგიის წევრი, **კანდელაკი** ნანა არჩილის ასული — რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, **ლოლუა** მამია (ჯემალ) გიორგის ძე — სარედაქციო კოლეგიის წევრი, **მამუკელაშვილი** ვალერიან დავითის ძე — შტატგარეშე კორესპონდენტი, **მეტრეველი** გარი ივანეს ძე — რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, შტატგარეშე კორესპონდენტი, **ოსეფაიშვილი** რევაზ მიხეილის ძე — შტატგარეშე კორესპონდენტი, **ფორჩხიძე** ზურაბ ნოეს ძე — შტატგარეშე მხატვარ-კორესპონდენტი, **ქაჯაია** ზურაბ ტიტეს ძე — შტატგარეშე კორესპონდენტი, **ყეინაშვილი** იური შალვას ძე — შტატგარეშე მხატვარ-კორესპონდენტი. (საქინფორმი).

ნიანგის საიუბილეო მონოლოგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ან რადღა გვმართებს ტირილი,
ხამს დავსხდეთ ქმნად ღიმილისა!
შოთა რუსთაველი

გავჩნდი თბილისში, ბტკვრის პირას,
სამოცი წლის წინ, სამ ივნისს!
ვარ ჩემი წინამორბედი
„ყუმბარის“ წარმოგზავნილი!
ქართული ქუდი მახურავს,
მშვენის ქართული ნაბადი!..
მე „ხვითქი“ მქვია ქართულად,
ვშრომობ და ხვითქი გადამდის!..
სატირის ცხარე პილპილით
და იუმორის მარილით
ვიკვებები და ვაყოლებ
მტკვრის წყალს ნილოსის წყალივით!
ვინც იუბორის ახსნასა
და განმარტებას ეცდება, —
მას იუმორი არ ესმის! —
ნუ გაგაცინებთ ეს მცნება!
ხუმრობის გრძნობა ოდითგან
მოსდგამს ჩემს მამაც ქართველ ხალხს!—
ის ყველგან აფრქვევს, ასხივებს
იუმორს — ბრძნულს და ნათელსა!
ვუმსუბუქებდი სამშობლოს
ბრძოლის და შრომის სიმძიმილს,
ღიმილით ვახალისებდი
და ვამხნევებდი სიცილით!..
შიშის ზარს ვცემდი საბჭოთა
ხელისუფლების ყველა მტერს,
და, ჩემი ქვეყნის წინაშე,
მართალი ვიყავ ყელამდე!
კალმით და ფუნჯით ვებრძოდი,
ვანადგურებდი ფაშისტებს!..
მემტერებოდა პირადად
ჰიტლერი, ასე გასინჯეთ!
ომის ქარცეცხლში ვიარე
სისხლიანი და ძნელი გზით!..
მეც ჩემი ჩანგლით შევჰყევი
მ. ქანთარიას ბერლინში!..
დღეს ვუტევ ყველა ანტიპოდს
და ნეგატიურ ბოვლენას!..
მოგეხსენებათ, ადვილი
არ არის მათი მორევა!
იყო ერთი დრო, — არ გახლავთ
ჩემთვის ამის თქმა ადვილი, —
დავკარგე ბრძოლის უნარი
და დამიჩლუნგდა მახვილი!..
ყოველმხრივ ხელი შემიწყვეს!
ყველგან ვავალი გამხადეს!
ყველა პირობა შემიქმნეს
და ხელბეორედ დამბადეს!
ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს
და ვცდილობ, გამოვასწორო!
ნუ ჩამომართმევთ ტრაბახად:
შემართული ვარ საბრძოლოდ!
ავა ავი უნდა ვუწოდო
და არსაქები არ ვაქო,
მოყვარეს პირში ვუძრახო,
მტერი დავმეხო, დავლახვრო!..
ანბანის რიგზე ვალაგებ
იმათ, ვინც უნდა ავლაგმო,
ვინც უნდა გამოვავლინო
და ჩემს ჩანგალზე ავაგო:
ანონიმისტი, ანგარი,
ალკოჰოლიკი, ავყია!..
ბოროტმოქმედი, ბანდიტი,
ბიუროკრატი, ბაქია!..
გამომძალველი, გულგრილი,
გამფლანგველი და გამცდენი,
გულშავი, განზე გამდგარი,
ვინც გაიძვერას გასცქერის!..
დამტაცებელს და დემაგოგს,
დოყლაპიას და ეგოისტს
მიჰყვება ვოლუნტარისტი
და ვიგინდარაც, მე მგონი!..
ზარმაცს მიჰყვება თაღლითი,
ინდიფერენტი — ინტრიგანს!..
კომბინატორი კანკალებს
დაპატიმრების შიშისგან!..
კვაჭს მოსდევს კარიერისტი
(მათაც მოელით წერტილი!).
აქ კერძოესაკუთრეა,
იქ — კუთხურკარჩაკეტილი!..
ლოთა უჩემოდაც მიიღებს
თვით გაბრიელი — მიქელი!..
ასო „მან“-ზე კი, მაცალეთ,
უფრო გულუხვი ვიქნები:
მუქთახორა და ბექრთამე,
მომხვეჭელი და მლიქვნელი,
მაამებელი, მოშურნე,
მოლაყბე, ბოლოს — მეშჩანი!
(მეტი ვერ ვპოვე, თუმცაღა
მთელი ქვეყანა შევძარი!).
ნარკომანსა და ნიჰილისტს
ბიჰყვება ობივატელი!..
რიგია ასო „პარ“-ისა, —
ვნახოთ, იქნება რამდენი:
პროტექტორსა და პროტეჟეს
ფერი დაედოთ ყვითელი,
პროვინციალს და პარაზიტს
მიეპირფერა პირფერი!..
აქვეა პატივმოყვარე
და კიდევ — პროვოკატორი!..
პლაგიატორიც აქვეა —
მპარავი ვაიავტორი!..
ასო „ფან“-ს ვათავისუფლებ!
„რან“-ზეა — რეპეტიტორი!..
საქმოსანსა და სპეკულანტს
ცრემლები სცვივათ დიდრონი!..
ტრაბახასა და უსაქმურს,
უზრდელს და უდისციპლინოს,
ფრაზიორსა და ფორმალისტს
სანამდე უნდათ, ირბინონ?!
ქურდს, ქლესასა და ყორვაჭარა
რიგით მიჰყვება ღლეტია!..
ყბედს, ყიამყრალს და ყალთაბანდს
შარსა სდებს შარახვეტია!..
ჩამორჩენილი მიჰყვება
ჩიტირეკიას დაგეშილს!..
ცილისმწამებელს, ცინიკოსს —
ძილისგუდა და წამგლეჯი!..
ჭორიკანას და ხულიგანს —
ხარბი, ჯაბანი, ჯიბგირი!..
აბა, ანბანიც გათავდა! —
ჰიპს ჩამოსტირის ცხვირ-პირი!..

●

ადრე რვა გვერდი ვიყავი,
ახლა თორმეტი გვერდი ვარ!
თავს არ დავზოგავ იმისთვის,
რომ ბოროტს სძლიოს კეთილმა!
ვარსებობდი და ვარსებობ
ჩვენი მწერლობით — ქართულით —
და მყავდნენ რედაქტორებად
მწერლები სახელგანთქმული!
ბევრი ცნობილი მხატვარი,
პროზაიკოსი, მგოსანი, —
ვინც მხატავდა და ბამკობდა, —
დღეს აღარ არის ცოცხალი!..
სუყველას დიდი სითბოთი
და სიყვარულით ვიგონებ,
რელიკვიებად ვინახავ
მათ ნახატებს და სტრიქონებს!..
ბრწყინვალე სატირიკოსი,
იუმორისტი ბევრი მყავს
და მყავს ასევე ბრწყინვალე
მხატვართა მთელი ელიტა!
ვაქვეყნებ მოძმე ერების
სატირასა და იუმორს! —
მათი მახვილი სიტყვითაც
და ნახატითაც ვმზიურობ!
ვკრებ ქართულ ხალხურ სხარტულებს —
„ვიცინოთ ერთად!“ — რუბრიკით!
ყველას, ვინც დამეხმარება, —
ელის რუბიკის კუბიკი!
ვილებ მშრომელთა წერილებს —
განცხადებას და საჩივარს!..
ზოგს ვეხმარები მაშინვე,
ზოგის წინაშე ვალში ვარ!..
კარს ფართოდ ვუღებ ყოველთვის,
ვიზიდავ ახალგაზრდობას!
ნიჭიერს ვბეჭდავ! უნიჭოს —
ვუხდი ბოდიშს და... მადლობას!
ღირსეულ იუბილარებს
რომ ვანყენინო, არ მინდა,
და მათზე „ვლაღობ ენითა,
წყლიანად მოუბარითა“!
„ამოა კარგი ლაღობა,
ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად“
და გაცილებით სჯობია
ლანძღვა-გინება-ძაგებას!
ჩემს უსაყვარლეს ჩიტივით
ბყავს ყველა თანამშრომელი,
უშტატო კორესპონდენტთა
მეტ შემართებას მოველი!
მაქვს ჩემი „ბიბლიოთეკა“,
თორმეტ კრებულს ვსცემ ყოველ წელს!
მეტსაც გამოვსცემ, ოღონდაც
ამის უფლება მობეცეს!
გზაჯვარედინებს მოვედე
ბუკლეტით — ახალშობილით,
რათა ჩვენს გზებზე უსაფრთხოდ
ვიდოდეს ავტომობილი!
ჩვენმა და საზღვარგარეთის
მრავალმა ჟურნალ-გაზეთმა
ბევრჯერ ხელგაშლილი მისტუმრა,
მთარგმნა, გვერდგაშლილი დაბეჭდა!

●

ბოლოს, ჩვენს ყველა ანტიპოდს
ვახსენებ ნათქვამს უბრძნესსა:

„გირჩევ ნუ აქცევ ზღუდებსა —
შენს ზურგის მისაყუდებსა!“

ნიანგის დავალებით —

ზაურ ბოლქვაძე





ასე მიულოცა „კროკოდილმა“ „ნიანგს“ დაარსების 10 წლისთავი.
ნახ. ლადო გუდიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე შეხვდა გაზეთი „კომუნისტი“ „ნიანგის“ დაბადებას

კვირას, 3 ივნისს, ტბილისის ქუჩებში გამოინავარდებს ნიანგი

წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეებმა, სახლიდან გამოსვლის დროს, თან უნდა იქონიონ ქუჩებში თავისუფლად მიმოსვლის მანდატი, რომლის შეძენა შეიძლება ყველა მეგაზეთესთან ას ორმოცდა ათი ათას მანეთად!

წერა-კითხვის არმცოდნეთათვის, სანამდის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ მომხდარა, მანდატი არ არის საჭირო!

ნიანგის სარედაქციო კოლეგია
2 ივნისი, 1923 წ.

პოლიტგანყოფილების მთავარგამგეობამ 3 ივნისს გამოუშვა იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“.

საღ, მოსწრებულ იუმორს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მას დიდი როლის შესრულება შეუძლია საბჭოთა პრესის საერთო საპასუხისმგებლო მუშაობაში.

იუმორისტული ჟურნალის გამოცემა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ყველას არა აქვს შეთვისებული ცოცხალი იუმორი. „ნიანგის“ პირველი ნომერი ამ მხრივ სრულებით ამართლებს იმედებს და საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც სურათები და ჟურნალის მსატვრული მხარე, ისე თვით მისი შინაარსი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ჟურნალი ღირს 150.000 მანეთი, რაც, დღევანდელი კურსის მიხედვით, დიდად არ ჩაითვლება.

3 ივნისი, 1923 წ.

ნიანგის პირველი განავარდება

ამა წლის 3 ივნისი დაუვიწყარი დღე იქნება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა და მეზობლეთა მეხსიერებაში.

ამ დღეს გამოვიდა თავისუფლად გასანავარდებლად სოფლად და ქალაქებში ჩვენი ნიანგი.

მტკვარს რომ ალმა ეწყო დენა, შიგ რომ გამოჩენილიყო ანტანტის ფლოტი და დესანტი გადმოესხა მადათოვის კუნძულზე, ეს გარეშოება არ გამოინვევდა იმდენ ალიაქოთს, რამდენიც გამოიწვია ნიანგის გამოჩენამ.

პირველად ყოვლისა, ნიანგმა ქალაქი დაათვალიერა...

ნიანგმა თავისებური გულთმისნობით გამოარჩია მოყვრები მტრებისაგან. პირველებს მეგობრულად გაულიმა, მეორეებს კი ისეთი შეუბღვირა, რომ სულ კუდით ქვა ახროლინა მათ.

რედაქციაში დაბრუნების დროს აფარებელი ნედლი მასალა მოიტანა ნიანგმა.

„ნიანგი“, № 2, 1923 წ.



ნახ. დონისა (დავით ნაცვლიშვილი) 1926 წ.

— ეს რა სიძვირეა?! სამმაგად ყიდით ყველაფერს?!
— ვა! ზატო, სამნიც ვართ!..

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კროკოდილი“

უძველესი ქართული კეთილი ჩვეულების თანახმად, მაჭრით ავსებს ყანწს და კროკოდილი სვამს თავის ქართველი სეხნიის სადღეგრძელოს! დაე, მარადის ისე ბასრკბილიანი იყავ, ნიანგო-ბატონო, და ისე მხიარული, როგორც ეს 60 წელია! — ისეთივე ოპტიმისტი და დაუცხრომელი ნაკლოვანებათა ამოძირკვაში! ვიცინოთ ერთად! მხარდამხარ! შენი დღეგრძელობისა იყოს, ძმაო!

ნიანგო, ჩემო ქართველო ძმაო,
ქატიოცემულო, პირმომცინარევ,
60 წლისა, კვლავ ახალგაზრდულ
ძალით, მახვილით მოყვასს გვიხარებ!—
ებრძვი უშიშრად, განურჩეველად
ყოველი ჯურის ძაღლს და მამაძაღლს!
მიტომ გცემ თაყვანს! — ყველა
ტკივილი
მორჩენილიყოს შენი ღიმილით!

შენი უკრაინელი თანამოძმე
ჰერეცი (ნიწაკა)

ძვირფასო ძმაო ნიანგო! თათრეთის ასს რესპუბლიკიდან დაბადების დღეს მოგილოცავ და კარგ მადას გისურვებ! ვფიქრობ, ეს სურვილი ფრიად უპრიანი იქნება შენთვის 60 წლის საიუბილეო ზეიმის დღეებშიც, თორემ, იცოცხლე, უამისოდაც არ უჩივი უმადობას, ამას შენს კბილებში მოხვედრილი ვაი-გმირებიც დამიმოწმებენ! ისე კი, კარგი მადა ხომ ახალგაზრდული ღონე და სულია?!

შენი ჩაიანი (მორიელი)

ამქვეყნად ექიმი სამია:
სიმშვიდე, დიეტა,
სიცილი!
სამივე კარგია ძალიან! —
ყველა სენს კურნავენ ისინი!

ნიანგის მაღლობა

თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ყოველწლიურად მართავს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითს რესპუბლიკურ კონფერენციებს. ქუთაისელმა მოსწავლემ **ნინო ლომაძემ** — კონფერენციაზე წელს საკმაოდ რთული და უჩვეულო ნაშრომი წარადგინა: **„სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“ (1924 — 1930)“**; „ნიანგი“ სიამოვნებით გაეცნო გოგონას ნამუშევარს — „ტარტაროზის“ სახელით ხომ თვითონ გამოდიოდა იმ წლებში „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“.

ნამუშევარში „ნიანგმა“ ნინოს ხუთიანი დაუწერა და ინატრა, — ნეტავ, მას უფროსებიც მიბაძავდნენ და ფართო მკითხველს უფრო ვრცლად გააცნობდნენ „ნიანგის“ მთელ ისტორიას!

ნახ. ნოდარ მალაზონიასი
1979 წ.



„კადრები“, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ, რათა სასურველი საკვარძელი დაითრიონ!..

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ქართველო თანამოძმევ! თუმცა სამოცი შეგისრულდა, მაინც მხნედა ხარ და ჯან-ღონით სავსე! გისურვებ, კვლავაც ასე დაუბერებლად და ღიმილით იცხოვრო! დაე, გრიალებდეს სიცილის ზეიმი, შენს იუბილეზე!

შენი ლატვიელი ძმა
ᲓᲐᲫᲘᲡᲘ (ᲔᲙᲐᲚ-ᲑᲐᲠᲓᲘ)

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛ! ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲒᲔᲣᲑᲕᲔᲕᲘ — ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ, ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲯᲝᲡ!

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲠᲙᲘ (ᲖᲚᲐᲠᲑᲘ)

ᲡᲐᲚᲐᲛ ᲐᲚᲔᲘᲥᲣᲛ, ᲫᲛᲐᲝ ᲜᲘᲐᲜᲒᲝ! აი, უკვე 60 წელია, მამაცურად იბრძვი ბოროტებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ სიკეთის სრული გამარჯვებისათვის! ყოველთვის მახარებდა და მახარებს შენი ნარმატებები!

ძვირფასო ძმაო, სულით და გულით ვსვამ შენს სადღეგრძელოს შენი სახელოვანი იუბილეს, ჩვენი საერთო საქმის — ღიმილისა და სიცილის სადიდებლად!

ᲣᲑᲔᲙᲘ ᲞᲣᲨᲢᲣᲛᲘ (ᲛᲣᲨᲢᲘ)

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲣᲠᲘᲜᲯ-ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ, ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲮᲪᲝᲕᲐᲜᲗᲐ, ᲑᲠᲓᲦᲕᲘᲐᲚᲐ ᲛᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲣᲖᲘ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲮᲐᲚᲐᲡᲘ, ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲪᲐᲐ! ᲧᲘᲠ�გᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲩᲐᲚᲙᲐᲜᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲫᲛᲔ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲧᲘᲠᲗᲖᲘᲚᲘ ᲩᲐᲚᲙᲐᲜᲘ (ᲯᲘᲜᲯᲐᲠᲘ)

ნახ. ᲒᲘᲒᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐᲡᲘ
1975 Წ.

— სიმღერა, რაღაც, არ გამოგვდის!..
— ყველას პირველი გინდათ თქვათ, და, როგორ გამოგიყვათ?!.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ

ᲡᲘᲪᲘᲚ-ᲡᲘᲪᲘᲚᲨᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“ სამოცი წლის გახდა.

სულითა და გულით ვულოცავ მას 138.000-ტირაჟიანი (**1923 წელს „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 2.000 ᲔᲒᲖᲔᲛᲠᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲙᲘ — 150 000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, — ᲠᲐ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲞᲘᲠᲘᲕᲘᲗᲘᲐ — ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲤᲐᲡᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ!**) თუ ათი ამდენი უტირაჟო, მადლიერ თუ მის ყბაში ჩავარდნილ მკითხველ-განმკითხველ-გადამკითხველ-გადმოკითხველისა და გულშემატკივრის სახელით!...

ამ ასაკში კაცს მეტი სერიოზულობა მართებს, მით უფრო — ნიანგს, რადგან **სიცილი მეტად სერიოზული საქმე გახლავთ!** — ასეთია აზრი იმ ხალხისა, ვისაც ამ ქვეყანაზე ჭკუა ეკითხება.

...არსებობს ერთი უცნაური ყვავილი, რომელსაც პრიმულა ჰქვია. როგორც კი იგი მთაში გამოჩნდება, — თავქუდმოგლეჯით გარბიან, რადგან პრიმულა ვულკანის მაუწყებელი ყვავილია. სწორედ ამ ყვავილის გამოჩენას ჰგავდა რევოლუციამდელ საქართველოში მებრძოლი სატირული პერიოდიკის — ჩვენი დღევანდელი იუბილარის სახელოვან წინაპართა — დაბადება. ისინი, არალეგალურ ბოლშევიკურ პრესასთან ერთად, იუწყებოდნენ, რომ კავკასიონზე მძვინვარებს რევოლუციის ვულკანი და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფეხქვეშ მიწა იწვისო!..

1880-დან 1921 წლამდე, უწინარესად თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ზედიზედ ჩნდებიან და საბრძოლო მწყობრში დგებიან სატირულ-იუმორისტული გამოცემები რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. ეს ჟურნალები და კრებულები ნოგვევლინენ ხალხის ქომაგებად, ექსპლოატატორთა კლასის დაუძინებელ მტრებად და, ჩვენი წმიდათა წმიდა ვა-

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმადპატივცემულო იუბილარო, ჩემო ერთგულო თანამოკალმევ, გაბედულო მეგობარო ყოველივე დროგოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლაში, ღვიძლო ძმაო სატირისა და იუმორის დარგში — „ნიანგო“! გილოცავ დაბადების 60 წლისთავს. ახალ-ახალ შემოქმედებით ნარმატებებს გისურვებთ! დაე, შენს მკითხველებს ღიმილი არ მოშორებოდეთ სახეზე!

შენი თურქმენი ძმა თოქმაძი (ჩაქუჩი)

ძვირფასო კოლეგა!

გილოცავ მონიფულობას! დაე, კვლავაც ყოფილიყოს ნიანგი გასრკბილებიანი, გაბედული და მხიარული, რათა უკეთ და ნათლად ვიცხოვროთ ყველამ!

შენი ლიტველი მეგობარი ვლუოტა (ცოცხი)

ძვირფასო ნიანგო! გილოცავ პირველ 60 წლისთავს და გისურვებ ჭაბუკურ ჯანმრთელობასა და გაბედულ სიცილს!

მოლდაკური კიკერუში (წინაპა)

შენ ცხოვრების გზა განლიე დიდი, — გზა იუმორის, სატირის, ბრძოლის!.. და, სამოცი წლის სადიდებელად, მივაჭახუნოთ ჭიქები ბროლის, — რომ შენი ჩანგლით გაბასრულები — ვაი-გმირები — მწარედ გოდებდნენ!.. წინ დიდი გზაა! — კვლავ ერთად ვმუსროთ საერთო მტრები — ანტიპოდები!

შენი ბელორუსი ძმა ვოჟიკი (ზღარბი)

სიცილს!

ლია, ამ ღირსსახსოვარ საიუბილეო დღეს, მოკრძალებით ვახსენოთ იმ ჭეშმარიტ გმირთა სახელები, ვინც დესპოტიზმისა და ანარქიის უკუნეთში მტკიცედ დაადგა ძნელად სავალ რევოლუციურ გზას, — ვახსენოთ სახელოვანი კოჰორტა რევოლუციამდელი საქართველოს სატირული არმიისა. მარტო მათი სახელები რად ღირს: **„ფალანგა“, „გეხლი“, „ჩვენებური რამე-რუმე“, „შურდული ცვერიდან“, „კუ-კუ-რე-კუ“, „ოცგუტი“, „კომარი“, „კრაპივა“, „პეტუშოკი“, „ეროზა“, „სვისტოკი“, „ჰოპ-ჰოპ“, „მოლა ნასრედინი“, „ხურმა“, „კოლიუჩკა“, „ხუმარა“, „ბზიკი“, „მახხარა“, „ცეცხლი“, „როგვატკა“, „ეშმაკის მათრახი“, „ზურნა“, „სეტყვა“, „ეალო“, „ჯოჯოხეთი“, „წითელი კვერცხი“, „დიპლიპიტო“, „ტარტაროზი“, „ნიჩ“, „თავს ვეძებთ“, „ხათაბალა“, „გუდოკი“, „ვაი-ვაი“, „ბრეკეკექეკს“, „შოლტი“, „სატანა“, „ალიაქოთი“, „არჩევანი“, „ანკესი“, „აურზაური“, „ჭინჭარი“, „კონდახი“, „გალილავება“, „ვეფხიოლი სატირიკონი“, „ლახტი“, „ტანგო“...**

და ეს კიდევ არასრული გენეალოგიური ნუსხაა ჩვენი იუბილარის საგვარეულო ნატვრისხისა, რომელიც დახუნძლული იყო ძველ დროსთან განხეთქილების წითელი ვაშლებით და რომელმაც ახალი ერის გარიჟრაჟზე გამოისხა პირველი ქართული საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი **„ეუმბარა“.**

მრისხანე პოლიტიკური სატირით დამუხტულმა „ეუმბარამ“ ერთგვარად შეაჯამა მის წინაპართა ღვაწლი, ახალი ძალით იფეთქა და 1921 წლის პირველ აგვისტოს პირველსა და უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა ძველი დროების სამგლოვიარო განცხადება:

„თავზარდაცემული ჭკუის კოლოფი ანტანტა მწუხარებით აუწყებს თავის თითებზე ჩამოხათვლელ ნათესავთა და ახლობლით საძებნელ მეგობრებს, რომ ბანგრძლივი ხენით შეპყრობილმა ამპერკავკასიის ბურუუაზიულმა რესპუბლიკებმა... სული განუტევეს“.

ასევე გამოუყვანა წარვა რევოლუციურმა სატირამ მეფის თვითმპყრობელობას, რეაქციას!..

მინახავს ადამიანი, რომელიც ნახევარ საუკუნეს გადაალაჯებს, მაინც ჭაბუკურად გამოიყურება და წლებს იკლებს, მაგრამ „ნიანგს“ რა ჭირს საამისო?! ქართული საბჭოთა პერიოდიკის ისტორია ხომ ასაკითაც ფასდება?!

ზოგი თმასაც იღებავს და ჭაღარას მალავს, მაგრამ, ერთი ბრძენის თქმისა არ იყოს, როცა კაცის ,იმაც კი ტყუის, იმას სხვა რა დაეჯერება?! „ნიანგი“ და ტყუილი კი... არ არსებობს!

ნიანგი ჩინებულად შეეგუა ჩვენს „ფლორას“ და „ფაუნას“, რადგან ჩვენში ქვეწარმავლები აქა-იქ მაინც ბუდობენ, ნიანგს საკბილო არ განოელეკა და, აგერ უკვე სამოც წელზე მეტია, იგი დაუნდობლად ავლებს მათ მუსრს, რითაც დიდ სამსახურს უწევს ქვეყანას. ამ ხნის ბანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენი ჩვენი მტერი ჩავარდა „ნიანგის ყბაში“ და ჭირი მოგვეპამ!..

ენციკლოპედიას რომ ჰკითხო, ამჟამად ჩვენს პლანეტაზე ნიანგის ოცი სახეობაა. მე რომ მკითხოთ, ჩვენი „ნიანგი“ ოცდამეერთეა და სრულიად განსაკუთრებული. თვითონ განსაჯეთ: ნიანგს, ანუ ალიგატორს ენციკლოპედისტები განმარტავენ, როგორც მუცელზე მხოხავსა და მლიქვნელს. ჩვენი „ნიანგი“ კი იქით ახოხებს მუცელზე მლიქვნელებს, ბიუროკრატებს, მექრთამეებს, ყველა ჯურის ოხერს, მუდრეგსა და ქვეწარმავალს, ფეხებში რომ გვებლანდება და წინსვლაში ხელს გვიშლის. ნილოსის ნიანგს არც ფარისევლური ცრემლით ჰგავს მტკვრის ნიანგი, რომელიც ცალი თვალით ტირის და ცალით იცინის, რადგან ერთი ცრემლი სატირისაა, მეორე კი — იუმორის და ორივე ერთად დიდ სახალხო საქმეს — სიკეთეს ემსახურება!

სიკეთე, სიკეთე, სიკეთე, სიკეთე კი ეკუთვნის ომს, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს აკეთებს! — როგორც ეს ჩვენი ერის „ცარცის წრეშია“ ნათქვამი და არა მეზოზოური ერის ქვედა ცარცის პერიოდში, როცა დღევანდელი ნიანგების 120.000.000-წლის-წინანდელი წინაპრები ცხოვრობდნენ. და რახან ეს ასეა, ამ საიუბილეო დღეს ჩვენი კაცური ვალია, სიკეთისათვის სიკეთე მივუზღოთ ყველას — შინაურსა თუ გარეშეს, **შტატიანსა თუ შტატგარეშეს,** ვინც ქართულ „ნიანგს“, დღიდან მისი დაარსებისა, დღემდე აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს, ვინც სიკეთეს თესავდა, თესავს და დათესავს!..

მეც დაბადებით ნიანგელი ვარ. სულ რაღაც ხუთი წლითაა ჟურნალი ჩემზე უფროსი. სანამ ის არ გაჩნდა, მანამ ან ქვეყანაზე მოსვლა არც მიფიქრია!..

როგორ მოვხვდი „ნიანგში“?

ერეკლეს მოედანზე ძველ დროში არსებულმა სალაყბომ ჩვენს დროში „ზემელზე“ გადმოინაცვლა თავის მოლაყბეებიანად. ძველად მათ „ამბავისტებს“, მერე „შაყირისტებს“, ნერე კი იუმორისტებს ეძახდნენ. ვიდექით ბიჭები რუსთაველის მოედანზე და ძველი ბერიკებივითა და ყეენებივით სიცილით „ვკლავდით“ ხალხს. ერთხელ, ჩენს ბედზე, **იოსებ ნონეშვილმა** ჩამოიარა, დამავლო ხელი და „ნიანგში“ წამათრია. იქ გავიგე პირველად, რომ ხუმრობაში, თურმე, კაცს ფულს უხდიან. იმ დროიდან მუქთად აღარ მიხუმრია. იურისტობა გავცვალე ჟურნალისტობაში, სისხლის სამართალი — სიცილის სამართალში, რევოლვერი — კალმისტარში და დღემდე სიცილის ჯარისკაცთა მწყობრშია ვარ, რადგან ბაღდათელმა **მაიაკოვსკიმ** დაგვიბარა, რომ **არ არსებობს სიცილზე უფრო შორსმსროლელი** და ნაცალი იარაღი!

გიზო ნიშნიანიძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი.

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ძვირფასო ბასრკბილა კოლეგა ნიანგო!

აი, უკვე 60 წელია ეწევი შენ შრომატევად და კეთილშობილურ ჭაპანს ჩვენი საზოგადოების გასაწმენდად ყველა ჯურის არამზადებისაგან, ფეხებში რომ გვედებიან! ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კარაზე გამოიყვანე ჩვენი დროის ანტიგმირთა მთელი გალერეა! წინ კიდევ უამრავი საქმეა!

ჩუვაშური სალმით —

კაპკანი (ხაფანგი)

ძვირფასო თანამრომელო!

გულითადად გილოცავთ ბრიტანეთ-ამერიკული ჟურნალ „ნიანგის“ 60 წლისთავს! ვუსურვებთ ჩვენს კბილბასრ მეგობარს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს სატირის ასპარეზზე, მშრომელთა გასახარად და მუქთახორების, ბიუროკრატების, ნამგლეჯების, ლოთების, თვალისამხვევთა და ყველა სხვა ჯურის არაკაცთა ყოფის სატირებლად!

თქვენი ტაჯიკი ძმა

ხორაუშტაკი (ზღარბი)

ძვირფასო ნიანგო!

დაე, შურით აღივსოს ბებერი კავკასიონის მწვერვალები შენს მიერ დაპყრობილ სატირულ მწვერვალთა მომართ!

შენი ბაშკირი ძმა ხენეკი (ფიწალი)

30 წლის „ეოზნი“ მორცხვად გილოცავ, 60 წლის ძმაო, დაბადების დღეს და 60 სასმისს, ქართული ღვინით სავსეს, ვწევ შენს სადღეგრძელოდ! 60 მილიონჯერ გაკოცებ! გისურვებ 60 მილიონ ქართულ ღიმილს და ამდენივე წლის სიცოცხლეს!

შენი სომეხი ძმა ეოზნი (ზღარბი)

ანონიმისტის აღსარება

პაროდია

ნიანგის ბიბლიოთეკა

რა ქვეშქვეშა, რა ჩუმჩუმა, რა მყრალი ვარ, — იცი, განა?!
რა შურით ვარ ავსებული, რა მწყრალი ვარ, — იცი, განა?!
ანონიმურ წერილების მწერალი ვარ, — იცი, განა?!
მთავრობასაც შეუტყვია, რავარი ვარ, — იცი, განა?!
შენ არ შეგიტყვია, განა?! მაშ, არ შეგიტყვია, განა?!
ახლა მოდი, მოგახსენო, რად მოვკიდე ხელი წერას! —
არ გეგონოს, უსაქმობით ატანილი ვყავდე წერას! —
გულში მიზის წერის მწერი, — მწყერი ვნახო, აღვწერ ძერას!
რას ვაშავებ?! — თეთრს ვაშავებ! — თუ არ შავად, ვიტყვი ვერას!
რასაც ვნატრობ, მას ვწერ მარტო! — მართალი ვარ, — იცი, განა?!
რასაცა ვწერ, ჩუმადა ვწერ, ღამ-ღამე ვწერ და ვწერ მარტო! —
ყველას მოხსნას, ყველას ჩასმას, ყველას გაფუჭებას ვნატრობ!..
მადლიერი თუ არვინ მყავს, ასპარეზი ხომ მაქვს ფართო?!
სხვას რა ართობს, სხვამ იკითხოს! — მე კი ჩემი ღვაწლი მართობს!
უმწიკვლო და უანგარო მოღვაწე ვარ, — იცი, განა?!
ჩემთვის ყველა საკბილოა, — გიგლაა თუ ბორისია!..
ერთს დავწერ და ჩამოჰყვება კომისიას კომისია!..
და წრიალებს ჩემი გმირი: „ეს ჭირი ვინ მომისია?!“
სხვას ვტანჯავ და მე ვიცინი! — შევასრულე ხომ მისია?!
ვინც არ მიცნობს, ისიც კი გრძნობს, რა კაციც ვარ, — იცი, განა?!
ზოგჯერ მაინც ამას ვჩივი, სამალი ვერ მიპოვია!..
მინდა, გული ზედ ავაგო, კალამი ვერ მიშოვია!.
თავი მტკივა! გული მტკივა! — წამალი ვერ მიშოვია!..
კუზიანს რომ თვით სამარეც ვერ ასწორებს, — ვიცი, განა?!.

მოსე ქარჩავა
1963 წ.

ნახ. ელგუჯა ბერძენიშვილისა
1965 წ.

ნიანგის ბიბლიოთეკა

— კვინიხიძე, მიჩვენე ყაზბეგი!
— საიდან, მასწავლებელო?!
— პამირი?!
— არ ვიცი, პატივცემულო!
— ვერც ბაიკალს მიჩვენებ?!
— არ ვენდევი პაპიროსს, მასწ., და რა ქენა?!.

ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲐᲜᲒᲡᲐᲪ“ ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲐ! ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲐᲠᲘᲚᲘᲐ! ᲠᲐᲡ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ? ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲐᲡᲠᲘ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ — ᲣᲤᲜᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲔᲑᲘ! ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ — ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ!

ᲜᲘᲙᲝ ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ.

ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ „ᲜᲘᲐᲜᲒᲡ“

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲠᲨᲘ ᲜᲘᲐᲜᲒᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲚᲐᲛᲘᲡ, ᲡᲐᲮᲚᲘᲙᲐᲪᲐᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲘᲜᲘᲮᲐᲠ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲑᲐᲒᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲕᲘᲡᲛᲔᲜᲗ.

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ „ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲗ“ ᲩᲐᲛᲝᲮᲕᲔᲓᲘ, ᲛᲘᲘᲐᲠ-ᲛᲝᲘᲐᲠᲔ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ-ᲙᲣᲜᲩᲣᲚᲘ! ᲐᲑᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲞᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ?! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲑᲐᲡᲠᲘ ᲙᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲭᲧᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲒᲙᲐᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲕᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ!

ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ! ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲢᲙᲑᲘᲚ-ᲛᲬᲐᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲐᲕᲚ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲡ ᲛᲝᲰᲒᲠᲔᲮᲘᲐ ᲙᲘᲡᲔᲠᲘ!

ᲰᲝᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲜᲐᲮᲝ! ᲨᲔᲣᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲑᲔᲓᲐᲣᲠᲘ ᲙᲘ ᲒᲕᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔ, ᲐᲠ ᲓᲐᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲚᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲘᲓᲒᲐᲡ!

ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲘᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔ!

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ — ᲛᲔᲓᲔᲐ ᲛᲔᲯᲖᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲜᲘᲐᲜᲒᲡ

ᲠᲐᲢᲝᲛᲚᲐᲪ „ᲜᲘᲐᲜᲒᲡ“ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲜᲣᲡᲮᲣᲠᲐᲓ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ — **„ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲐ“.** ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲔᲬᲔᲠᲝᲡ?! ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲕᲔᲠ ᲣᲛᲕᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲗᲣ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ. ᲔᲡ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲛᲘ ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲐᲠᲐ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲡᲐᲢᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲗᲣ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲬᲝᲜᲡ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 80-ᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲡᲐᲢᲘᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ **„ᲤᲐᲚᲐᲜᲒᲐ“.** ᲐᲠᲪ **„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“** ᲓᲐ **„ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲘ“** ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲓ ᲣᲢᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲝᲮᲕᲔᲭᲘᲚᲗ, ᲘᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲗ ᲐᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ.

„ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲪ“ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ Კ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ, Ს. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲗᲐ ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ **„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲣᲘᲝ“**, ᲔᲬᲔᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ **„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ“** ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲕᲔ.

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲠᲓᲔᲚᲝᲑᲐᲐ ᲨᲔᲜᲘᲦᲑᲣᲚᲘ, ᲮᲚᲝ ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, **ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲚᲝᲑᲐ** ᲙᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲣᲮᲘᲚᲡ ᲐᲛᲭᲚᲐᲕᲜᲔᲑᲡ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲠᲩᲘᲔᲗ, ᲮᲔᲚᲗ ᲨᲔᲒᲕᲠᲩᲔᲑᲐ „ᲮᲝᲪᲕᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲗᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲗᲐ“.

ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘᲐ.

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲡ, ᲒᲐᲜᲐ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲗᲠᲐᲮᲔᲑᲓᲔᲡ ᲛᲐᲡ?! ᲠᲝᲪᲐ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲗᲣᲛᲜᲘᲐᲜᲡ ᲡᲬᲐᲠᲜᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ, ᲒᲐᲜᲐ „ᲜᲘᲐᲜᲒᲛᲐ“ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲬᲙᲔᲠᲚᲝᲡ ᲘᲒᲘ?! ᲠᲝᲪᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲙᲣᲚᲐᲢᲣᲠᲐ ᲬᲐᲚᲔᲙᲕᲘᲗ ᲒᲕᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ „ᲜᲘᲐᲜᲒᲛᲐ“ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲝᲡ?!

ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲡᲞᲝᲑᲡ. ᲛᲐᲕᲜᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲫᲛᲝᲑᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ, ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ! ᲪᲝᲢᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲥᲣᲠᲓᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲫᲔᲑᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲗ, ᲠᲐᲛ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲡ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“ ᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲗᲣ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ?! ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲘᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲡ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ.

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲛᲔᲯᲔ ᲔᲙᲘᲗᲮᲐ, „ᲜᲘᲐᲜᲒᲡ“ ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤᲐᲓ ᲬᲐᲠᲕᲣᲛᲫᲦᲕᲐᲠᲔᲑᲓᲘ — **„ᲐᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲕᲣᲬᲝᲓᲝ, ᲙᲐᲠᲒᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲥᲝ?“**

ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ!

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲩᲠᲐᲫᲔ

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ძვირფასო ნიანგო!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით მოგესალმები და ყველა ახალი თუ ძველი სენაკელის სახელით გულითადად გილოცავ სახელოვან იუბილეს — სამოცი წლისთავს!

სამოცი წელი, ჩვეულებრივ, საპენსიო ასაკია და ამისთვის ყველა დამსახურებაცა გაქვს, მაგრამ კარგად ვიცი, დასვენება და მხარ-თეძოზე წამოწოლა არც შენ გჩვევია და არც იმათ, ვისაც დასდევ და ებრძვი! ამიტომ, პენსიაზე გასვლა გულშიაც არ გაგივლია! ან კი, რა დაგასვენებს იმ დიდი საქმეების ხანაში, რომლის უბრალო მოწმე კი არა, უშუალო, აქტიური მონაწილე ხარ!

გარწმუნებ, გვიყვარხარ ცხაკაიელებს, დიდ პატივს გცემთ, მაგრამ, რომ გითხრათ, ძალიან მოგვენატრე და ხშირად ჩამოგვაკითხეო, გულწრფელი არ ვიქნებით, რამეთუ ნიადაგ ვგრძნობთ შენს სითბოსაც და სუსხსაც, შენგან სიხარულიც ბევრი განგვიცდია და ბასრი კბილების სიმწარეც გვიგრძვნია!

ცხაკაიელთა სახელით — პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია.

როცა მარტენის ღუმელთან მუშაობის შემდეგ შინ ვბრუნდები, რაგინდ დაღლილი უნდა ვიყო, პირველად მაინც „ნიანგს“ გადავშლი და მხიარული განწყობილება მეუფლება!.. სამოცი წლის „ნიანგს“ ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ, მუდამ ყოფილიყოს ასეთი მართალი, გაბედული, ღიმილიანი, მანკიერებასთან ბრძოლაში კი — რუსთაველი ფოლადივით მაგარი და მტკიცე!

კეთილი სურვილებით — ოთარ ლომიძე,
მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი

„ნიანგს“ დაბადების 60 წლისთავს ჭილოცავთ ბოგვა უიშვილის შვილიშვილები — გივი წითლიძე — და მიხაკო ორაგველიძე

ჩვენო გულის გამხარებელო, ჩვენო ძვირფასო „ნიანგო“! გილოცავთ განვლილ 60-წლიან მძიმედ სავალ გზასა და კვალს! გვინდა გახაროთ, რომ ჩვენ, მიხაკო და გივი, შევრიგდით, თვალში რომ ჩავუვარდეთ ერთმანეთს, ხელს არ ამოვისვამთ!

გურული თქმულებისა არ იყოს, მინაში რაა, ისიც კი იცი. ჩვენო ნიანგო, თქვენზე მიმხვდარი და გენიოსი არც ერთი მეცნიერული ჟურნალი და მისი რედაქცია არ არის ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მაინც ეჭვი მეპარება, მიგვიხვდე, თუ რამ შეგვარიგა მე და გივი ბიძიე. ხომ არ გგონიათ, — როგორც თქვენ გვირჩევდით, — მეტროპოლიტენი გაიყვანეთო — შრომა — ნატანები?!

არ გეწყინოთ და, მიჩვეული გყავდით, მაგრამ აღარა გვაქვს არც შრომელებს და არც ნატანებლებს ფეხბედნიერი, საამაყო სასიხარულო, დამამშვენებელი გამარჯვების მოსკოვური დროშა!

ორთავეს შრომა, გარჯა, მიღწევები დაინუნა იმ დალოცვილმა, მიგვატოვა და ბინა ჩოხატაურის რაიონში დაიდო! რაღა გვაქვს ახლა საბრძოლო და საჩხუბარი?! მამაშვილურად ვართ ერთმანეთთან!

ახლა ორთავე ერთ დროშას ვიყაბულებთ, მაგრამ სად არის?! ისე, ხომ იცი, გივი ნითლიძე ვაჟკაცია, არ მოისვენა, მეც ამიყოლია, ეს ბერიკაცი, ჩვენც დიდი ნატანები და დიდი შრომა ავიყოლიეთ და ეს ორი „მტერი“ ისე შევთანხმდით, რომ ერთმანეთს ხელი შევუწყოთ, ერთმანეთს დავეხმაროთ და მეთერთმეტე ხუთწლედის ამ შუაგულ წელს მივცეთ დედასამშობლოს: შრომა-ნატანებმა 13.000 ტონა ჩაი, 15.000 ტონა ციტრუსი, 16.000 ტონა ხილი, 500 ტონა ხორცი, 500 ტონა რძე! ასეთი ციფრები ზოგიერთ რაიონსაც კი დაამშვენებდა!

თუ ეს ჩვენი დანაპირები ვერ შეგისრულეთ, მაშინ, „ნიანგო“, შენს ფურცელზე ერთი პატარა ადგილი დამითმე და შიგ მარტო ჩემი ნეკროლოგი გამოაცხადე, გივი ბიძიას საამისოდ ვერ გავიმეტებ!

პატივისცემით — მიხაკო ორაგველიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

— ნიანგი კი არა, კაცია, კაცი! კაცივით ჩოხა-ახალუხი აცვია, ხელში სამკაპა ფინალი უჭირავს, ეს ფინალი იმი იარაღია, კალამია! გესმის, მარგალიტავ?! შენ რაც გინა თქვი და, მე ძაან მიყვარს ე ჟურნალი! იმიტომ, ადამიანო, რომა, ხო არ გიჭერს, ციხეში ხო არა გსვამს, არა?! გეუბნება, სხვითა მაგალითზე გიჩვენებს, ეს არ ვარგაო, ეგრე ნუ მაიქცევიო, ინანებო! ვინ რა ავკაცობა ჩაიდინა, არ გამოჭრჩა, დედაკაცო! ან საიდან გაიგებს ხოლმე? მე არ ვიცი, ამ ჩემი სოფლი ბოლოში რა ამბებია და იმან იცის! საკურველია პირდაპირ!

— საკურველი რა არი, გიგავ?! — ყველგან ხალხი ჰყავ! ისინი ავსაცა და კარგსაც იწერენ ბლოკნოტში და სუ მასთან მიაქთ. ისიც ავზე ავს ამბობს და კარგზე — კარგსა! საჭიროა, კაცო, „ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ, დაინახოსა!“ ვიღაცა ოხერზე ახია, შამადგომი აყოტებული ჭინჭრით რო ჰსუსხამს, მახვილი სიტყვით რო თავსა ჰჭრის, შაარცხვენს იგრე, რო, გარეთ თავი აღარ გემეყოფა! გატეხილ სახელ კიდე გატეხილი თავი ჰჯობია!

— მა რა, მარგალიტავ, სიტყვა დიდი რამეა, ხმალივითა ჰჭრის, ჩემსავით პირში თქმა უყვარს, აი! არ დაგიდევს შენ, იმი სიმართლე გენყინება თუ გეამება!

— ეგრეც უნდა, გიგავ! ე ჟურნალი ხალხი მოკეთეა, მტერი ხო არ არი?! მოკეთე პირში გეტყვის, რო ნაკლი გამაასწორო, გაფთხილდე! მაგრამ მე მაინც „ნიანგი“ იმიტომ მიყვარს, კაცო, გავიცინებ, გაიცინებ, გავმხიარულდებით! ხო გაიგე, კაცო, ექიმ რა უთქვამ: სიცილი მარგებელია ჯანისთვინაო!

— უნდა გავიცინოთ, აბა, რა! სატირელი რა გვაქ?! ნამდვილი ხუმრობა თუ არი, გავიცინებთ, მა რა?! მაგრამ ეს კი იცოდე, ჩემო მარგალიტავ, რო მარტო გასაცინებლად არაფერი არ ინერება და არაფერი არ იხატება! იმ ღიმილში შენ თუ აზრი არ დაინახე, მა რაღა ხუმრობაა?! სიცილი ბევრჯელ ცრემლზე მწარეაო, ხო გაგიგონია?! აბა, ერთი მაიგონე, მარგალიტავ! შარშან ჟურნალში მრავალშვილიანი ქალი რო იყო დახატული. ერთი ყმაწვილი ხელში ეჭირა, დანარჩენები გარშემო ეხვეოდნენ, ყველა იმ მოცუცქნულ ბავშვ შეჰციცინებდა. იქვე გამოპრანჭული, უშვილო ცოლ-ქმარი იდგა. იქნება, თავიანთ გულში დაჰცინოდნენ კიდეც გოგო-ბიჭით სავსე ოჯახ! მემრე, სიბერეში დაინახამენ დასაცინი ვინ იქნება! შენც კარგა მოგხვდა გულზე ი სურათი! შენც იგულისხმებოდი და იმიტომ! შენ დასანახადა და გასაგონადაც იყო დახატული! რო დამაგდე კაცი ერთი მატრაკვეცა გოგოსა და ერთი ბიჭი ანაბარა! ეგრე უნდა?! ეგე, გოგო გაგითხოვდა, ბიჭი ჯარში ნავიდა. ეხლა მირბინე გარშემო და მიყურე თვალებში! კიდე კარგი, რო ჯერ კიდე ჯანზე ვართ და მუშაობა შაგვიძლიან, თორემ დავგიჟდებოდით, ადამიანო! უშვილო სახლი რა არი?! დაიცა, ჩამოა ბიჭი და გეგმი შასრულება იმი ჯერი იქნება! იგრე დაგანვრილშვილიშვილებს, ცხვირი მოსაბანენდად არ გეცლება!

— ზოგიერთი რამე იგრე მეცნობა, გიგავ, ნამდვილად ჩვენზეა დაწერილი, კაცო! ჩვენზე იყო მა რა, ისაო, გიგასაო უცხოელი ესტუმრა ვენახშიო და შარცხვაო, უცხო ენა რო არ იცოდაო და სტუმარ ვერა გააგებინა რაო!

— ჰოო, მამა უცხონდა, შავრცხვი, მაშ! იმან იცოდა ქართული?! ან კიდე დეელაპარაკნა რუსულად, ჯარში იმდენი კი მიჰნავლია, რო რიგიანად მეპარუსკნა!

— რა ვიცი, კაცო, გურულ კაც უთქვამ ჩვენი კაცისათვინ: იცი, კახელო, შენზე რა ანეკდოტებ ამბობენო? იმ კაც კიდე უპასუხნია: ანეკდოტებ შენზე ამბობენ, თორემაო, ჩემზე რასაც ამბობენ, სუ მართალიაო!

— შენ კარგად იყავ, მარგალიტავ, ეგ დაცინვა კი არა, სიყვარულობაა!

— მე კიდე ის მინდა ვთქვა, გიგავ, რო ჩემზე ძაან მოქმედობს ბოლო გვერდი, კაცო! მიკვირს, გიგავ, მეოცე საუკუნი ბოლოა, კაცმა ომზე უნდა იფიქრო?! სირცხვილი არ არი, კაცო?! შაიარაღება, შაიარაღებამ, იძახიან! ათასგვარი სატკივარია ქვეყანაზე, ათასი ხიფათი, ის არ გვეყოფა, კაცო?! ძალად რათა

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

ძვირფასო მეგობარო!

სულიერ და გულიერ მოგეფიცებოდეთ „ნიანგის“ ბიჭები ეროვნული სახელოვან იუბილეს!

ექვსი ათეული წლის უფროსულ მანძილ იქვე, ნაწილი რომ ვაკეთებულად ფიქრობ, დამეფარებოდა ძალიან ჩემს ხელ-ფეხ ცხოვრების ბენეფიციალობის სვლაში! ასევე ქვეყნის სამართალ-დოლიანს ქართველ სიტყვიერ და იუმორის ენიერად ამეტყველ და ასევე ეროვნულ! ექვსი ათეული წლის ბიჭი მანძილზე თქვენ ელოდებოდა ჩემს ხელს ბოლო ასწოლილ და ბიჭების ულაზეური სიყვარულიც, რადგან უოვლეფილ იყოფილიყ, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე მხოლოდ ბესიყვარულ უნდოდა.

ყველაზე დიდ, დიდ წარმატებებს გისურვებ ამჟამინ ასეთ ბიჭებს!

ირაკლი აბაშიძე

უფროსო ძმაო!

ჩემო უფროსო ძმაო ნიანგო! გიკადნიერდები და მხურვალედ გეხვევი ამ შენი სიმწიფის იუბილეზე! გეხსომება — სულ ადრე „პაპას“ გეძახდი, მერე „ბიძიათი“ შეგიცვალე, ახლა კი „ძმაო“ გაგიბედე! მეც დავვაჟკაცდი, აგერ უკვე ოც წელიწადს გადავაბიჯე! ზოგიერთები მაინც ვერ მიტანენ და ნიანგივით ეშინიათ ჩემი. თურმე არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონია, მე რომ კაცი ვარ და შენ — ნიანგი! ისე, გაჟეჟილს გატეხილი სჯობს და, პირში გეტყვი — ამ ბოლო დროს ისე დაილესე ეგ კბილები, რომ ხანდახან მეც მეშინია, სხვებივით არ გამტკვირო თხილის კაკალივით!.. ჰე-ჰე, გეხუმრები, შე კაცო, თორემ უმცროს ძმას რომ არ გაიმეტებ და, ისიც შენი იუბილეს დღეს, კარგად ვიცი!..

გულით მიხარია, შენს ჩანგალს გეფიცები, ამ ბოლო დროს რომ მომძლავრდი, სისქეში მოიმატე! ვინ თქვა, თვრამეტი წლის მერე აღარ იზრდებიანო! რაკი შენ სამოცი წლისა გაიზარდე — ძველებურად ახალგაზრდა ყოფილხარ! რახან ასეა, კვლავაც გაიზრდები და გამძლავრდები! შენი სიმძლავრე კი ჩემი სიმძლავრეცაა!

შენი უმცროსი ძმა ოქროპირი

ნახ. ზურაბ ნიჟარაძისა
1958 წ.

— სოლომონ, ჩემი ხმა გესმის?
— მესმის კი არა, გხედავ, შე კაცო!

ეს ეკუთვნოდეს

მკლავ, ჰა?! ბიჭი ჯარში გვყავ, გიგავ! გულ მიხეთქავენ, კაცო, ომი გამჩაღებლები, ცეცხლი გაუჩაღდეთ იმათ გულ-მუცელში! წარმაიდგინე, გიგავ, რასაც ის ჭირსაძგერებლები ამზადებენ, ბირთვულიაო, თუ რაღაცა, რა იქნება?!

შენ ნუ გაცოდინა, გიგავ, ღმერთმა შვილი ცეცხლი, — მე რო დედაჩემი მინახამ, რა დღეში ჩავარდა, ჩემი ძმა ომში რო დაიღუპა და შავი ქაღალდი რო მივიღეთ, — ზეზეურ დადნა ი მკლავმოუღლელი დედაკაცი, დარდმა შაჭამა, გაახმო და ნაადრევად ჩაასვენა მიწაში!.. შვილები სხვებიცა ვყავდით, მაგრამ იმი მაგიერი — არავინ!..

უჰ, რაზე ვლაპარაკობ მე თავსასიკვდილე და შენც გულ გისიებ!.. ის უნდა მეთქვა, რო სამოცი წელიწადია ე ჟურნალი წესრიგისკენ გვითითებს და ზოგიერთ შაუგნებელ მაინც ვერა შააგნებინა რა!

— ერთი სიტყვით, მარგალიტავ, რაც კარგია, კარგია! მართალია, ხანდახან უკბილო ხუმრობაც გემეერევა ხოლმე, მაგრამ ეგეც არაფერი! საცა ბევრი კარგია, მცირე იმალება, ფერმკრთალდება და ქრება. ორ კვირაში ერთხელ რო არ მივიღო ჟურნალი, აგრე მგონია, მარგალიტავ, საჭმელ-სასმელი მაკლია-მეთქი! მხოლოდ ეს არ მამნონს, რო ამი წინათ იგრე დაიგვიანა, მე თითონ წაველ ფოსტაში. რვა მარტი იყო, ვიფიქრე, მოვიტან, მარგალიტა გაიხარებს-მეთქი. ჯერ არ მიგვიღიაო, გიგა ძიავ, მითხრა ფოსტი გოგომ, რვა მარტი რომელია, აპრილი გადიოდა, ჟურნალი რო მივიღეთ!..

ეხლა გაშალე, მარგალიტავ, ვახშამი, დადგი ერთი ჩარექა ღვინო! — კაი კაცი სადღეგრძელო არა ვთქვათ?!

გიგასა და მარგალიტას საუბარი მოისმინა
ლალი მარტაშვილმა

ავიატორები

ოტია იოსელიანი

მაკაბარიტოული მოთხრობა

ილუსტრაციები ზ. შერიაზადისა

— არა, არა! — ეი ბოლოვანი, ხმამაღალი ელაპარაკებოდა თავის თავს კირილე მოდებულე, — არაფი, ბიჭებიმ! მაინცდა ეს, ასე რაკი უნდა ნახდე კაციშვილი?! რა მოხდა, ეს ღვთის ელასჩა? ან მეფრაბარან ბა ადგილ ზე, მაგრამ ან დაქცეულა ქვეყანა!..

კირილეს მარტო ახლა, რაც ასე უცაბედად დაანანავრა, არ დამპარიოთ ეს ამბავი. ადრეც, ნეოოლეფცის დრიტ ტორი რომ იყო, და უფრო ადრეც— უყვარდა თავის თავთან მუსაუბრი, ჩხუბი და ღიღინი, როგორც მეორე ბიჭთან. ჯერ ერთი ლაკეა რომ სკორეფოდ ეს ბერმა ხმალ ფაფალ ბოლოვანი ამისთვის ხელიდ ნაბეგ ბიჭ ბიჭ ბიჭ, რომ თვითნერთნა მონოტონერი, თავმოპაბუნრებელი არ ბაგეზა: ბანნ, როგორც ხელეკეთილან, ან, როგორც ასაკო ეფერნა. ოთან, რომელიც ბიჭთან ფარიბაკი და დაბეგენელ სკორეფოდ ბოლოვანი, როგორც ტოლან ეფ ა სნორნან. ისიც ფდებოდა, რომ თვითონ იყო უმცროსი ეი ფდა ქვეკინი, მაგრამ „ეფრონ“ თავის თავს კრიტიკულად ამლიდა პირში სიმართლეს და ზეგონებენით მოძალებდა.

— არა, ფერ მოგეგმ! ამის ფეფლას და ინიმტამ! ხეფინ ეფ მოგერნს, ეს, ბაბონო! გაარეფა ზეშმა ნინამრიზ ფდმ! თავი თავის თავნ? და არ გამოოეკანან ნორეკ? არ ჩაგადენენ? ეგ ბოლ ბ, რასაც ის ეფდაბინი ჩართიფიდარ ფდმ! ზენ ოუ ადგიბენ!..

ოფავანენი ოფო კირილეს ჩაეიეკენი კირილეს და ბინაში ჩაეეენანა უბარეფდა.

— ეიეი მე, რაკ არაან ალზეფეფული და ადოფინებული ზენონთანაბენ! ეიეი და ინიმ?! ეკრ ბოკაროფეს, კირილეი ოხერო! დაეეგდე ხეალიან ინ და ინა ბოიიეკეი, როგორც საყვირა, როგორც ეე ეეგმეფ! ინდა ფდა ალ ეფ ზენეფეფ ეკ ეეეფ ეეეფ ეეეფ

ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელოვანი თარიღი

60 წლის ნ ი ნ ა თ დაიწყო თავისი სახელოვანი გზა სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალმა „ნიანგმა“. იმ დროისათვის ამ ჟანრის პერიოდიკას არცთუ ისე დიდი ტრადიცია ჰქონდა ჩვენში.

„ნიანგს“ თავისი სათავეები, ერთის მხრით, ჩვენი ხალხის ოპტიმისტურ ხასიათსა და გონებამახვილ ბუნებაში უნდა ეძებნა, მეორეს მხრით, ჩვენი დიდი კლასიკური ლიტერატურის გამოცდილებაც უნდა მოეხმო, რათა მწერლობის ამ რთულ ჟანრში მომუშავე ავტორების აღზრდა სწორად წარემართა.

„ნიანგის“ უპირველესი მოვალეობა საზოგადოების წინსვლის შემაფერხებელი ყოველგვარი მოვლენის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იყო. ეს ბრძოლა წინააღმდეგობასაც გულისხმობდა და სატირის მახვილმომარჯვებულ „ნიანგს“ ცოტა ძალ-ღონის დახარჯვა როდი უხდებოდა ბიუროკრატიული ჯებირების გადასალახავად. „ნიანგს“ ნიჭიერი იუმორისტების ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა, იგი წლითიწლობით ვაჟკაცდებოდა და ჩვენს ხალხში სიყვარულსა და პოპულარობას იხვეჭდა.

იუმორისა და სატირის ჟანრში მომუშავე ქართველი მწერლები იყვნენ ყოველთვის „ნიანგის“ ძირითადი ავტორები, ისევე, როგორც მუდამ მწერლები იყვნენ ჟურნალის რედაქტორები.

ამიტომაც არის „ნიანგის“ სახელოვანი იუბილე ქართული მწერლობის ზეიმი და დღესასწაული.

ჩემი ახალგაზრდობის ჟამს, ათი წლის განმავლობაში, ვიყავი „ნიანგის“ რედაქტორი და ჩემი სარედაქტორო მოღვაწეობის ამ ფეხბედნიერმა დასაწყისმა ჯერ „დროშისა“ და შემდეგ „ძნათობის“ რედაქტორობამდე მიმიყვანა. „ნიანგს“ დღესაც ჩვენი საუკეთესო მწერლები უძღვებიან და ამიტომ იშვიათად როდი ბრწყინავს მის ფურცლებზე ხალასი ნიჭიერებით აღბეჭდილი იუმორი.

„ნიანგი“ თავისი პირუთვნელობითა და ნაკლისადმი შეურიგებლობით დიდად ეხმარება ჩვენს ხალხს, მკითხველთა ფართო მასას, ამხნევებს და ხალისს მატებს ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვოთ „ნიანგს“, სულ ჯანსაღი სიცილის გუნებაზე ყოფილიყოს, არასოდეს შოჰკლებოდეს ჩვენი ხალხის სიყვარული და შეუნელებელი ინტერესი!

გრიგოლ აბაშიძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი

ნახ. ანდრო კანდელაკისა



— აგერ, ხელისგულზე დამარტყით, ბატონო, ხელი არ იტკინოთ!..

მიკროგოთხრობები

ახალგარემონტებულ კედელში ლურსმანმა გამოყო თავი. კედლის პატრონი მეზობელთან გავარდა საჩხუბრად.

— ხელოვნურ დასაკიდებლად მივაჭედე. — შეწუხდა ლურსმნის პატრონი.

— მერე, რალა ამ სიგრძე, შე კაცო?!

— ვიფიქრე, შენც დაკიდებდი-მეთქი.

კედლის პატრონმა მადლობა გადაუხადა ლურსმნის პატრონს.

●

ქუჩაში ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს.

— საით გაგიწევია? — დაინტერესდა პირველი.

— არსად. კაცი მყავს მოსაკლავი.

— კარგი ერთი, ისევ არ იშლი ხუმრობას?

მაშინ მეორემ ნაგანის ლულა დაანახვა.

— აბა, გისურვებ წარმატებას! — გაამხნევა პირველმა.

— გმადლობთ!

ისინი საქმიანად დაცილდნენ ერთმანეთს.

●

აღელვებული მომხმარებელი ფეხსაცმლის ფაბრიკაში მიიჭრა.

— აი, ნახეთ თქვენი პროდუქცია: ორივე ერთი ფეხისაა!

— ეს სიახლეა, — აუხსნა დირექტორმა, — დილ-დილობით -აღარავინ იმტვრევს თავს, რომელია მარჯვენის და რომელი — მარცხენისა.

მომხმარებელმა უკან წაიღო ფეხსაცმელიც და საჩივარიც.

არლი თაყაიშვილი
1967 წ.

ნიანგს ეღობავენ! ნიანგს ეღობავენ! ნიანგს ეღობავენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლო კალაძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი.

ნახ. იოსებ ქოქიაშვილისა
1958 წ.

— მართალია, მარცვლეულის გეგმა ვერ შევასრულეთ, სამაგიეროდ, მეფრინველეობაში ვართ მაგრად!

ნიანგი კონსილიუმზე

როგორც კი სამოცი წლის შესრულდა, ნიანგმა მაშინვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. გულდასმით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, აი, რა თქვეს:

ოტოლარინგოლოგმა — სმენა გამახვილებული აქვს სიგნალებისადმი, არჩევს ტყუილ და მართალ ხმებს. ყნოსვის მხრივ აღინიშნება დიფერენციული განვითარება: როდესაც საქმეს ცუდი სუნი ასდის, მაშინვე გრძნობს!

ოკულისტმა — შესანიშნავად ხედავს შენიღბულსაც კი!

რენტგენოლოგმა — თავად ამჟღავნებს რენტგენის თვისებებს: აშუქებს ზოგიერთთა ბნელ სულებს!

სტომატოლოგმა — კბილები შესანიშნავ მდგომარეობაში აქვს. ხასიათდება სიმკვეთრითა და სიბასრით! არც ჩიტები აკლია!

დიეტოლოგმა — დღიდან თავისი არსებობისა, მკაცრ დიეტაზეა: მიირთმევს მხოლოდ სხვადასხვა სახის ანტიპოდებს!

ფსიქიატრმა — აღგზნებულია ნეგატიური მოვლენების მიმართ!

ქირურგმა — თავად არის დახელოვნებული ოპერაციებში, რომელსაც სამწვერა გალესილი ფიწლით აკეთებს!

კარდიოლოგმა — გულიანია, გულკეთილია, ერთგულია, გულადია, გულწრფელია, გულმართალია, გულმხურვალეა! გაგულისებულია ორეულის მიმართ, არ სჩვევია გულმავიწყობა და გულგრილობა! საქმეს ეკიდება გულდაგულ და გულდასმით!

კონსილიუმს დაესწრო ბარი მეტრეველი

ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლებული იუმორი

ჟურნალი „ნიანგი“ განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. მის გამოსვლას მუდამ მოუთმენლად მოელიან იმ სიხარულისა და სიამოვნების ქვეცნობიერი განცდით, რაც ჟურნალმა უნდა მოუტანოს. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ხუმრობის ფასი და ძალაც მისი. გარდა იმისა, რომ ხუმრობა ცხოვრებას გვიხალისებს, იგი აღზრდისა და მხილების შესანიშნავი საშუალებაცაა. და „ნიანგის“ როლიც იმიტომ განისაზღვრება ასე ფართოდ, იმიტომ არის იგი ასე საყვარელი და საჭირო. ჩვენს ჟურნალს კი თავიდან დაებედა, ყოფილიყო წმინდა ლიტერატურული ორგანო. მისი იუმორი მუდამ ამაღლებული იყო, ისეთ ლიტერატურულ დონემდე აყვანილი, რაც ჩვენს ხალხსა და ჩვენს მწერლობას ეკადრება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მისი თანამშრომლები მუდამ იყვნენ და არიან ჩვენი მწერლები.

ვუსურვებ „ნიანგს“, არასოდეს ეღალატოს ამ მაღალი მოვალეობისათვის, მუდამ ხალისიანი თანამგზავრი ყოფილიყოს ჩვენი ცხოვრებისა, არასოდეს მოჰკლებოდეს ხალხის სიყვარული!

ვახტანგ ჭელიძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი



— ერთი ეს გამაგებინა, ამას რა სჭირს და, მერე მომკლა, თუ გინდა!..

დისციპლინა აგვამაღლებს!

დისციპლინა ლათინური
სიტყვაა და ნიშნავს სწავლას!
ეროვნული დისციპლინა
იყო, არის ერის ძალა!

დისციპლინის დარღვევებმა
შობეს ჩვენი ყველა ნაკლი!..
დღეს მამულში დიდი ძვრების,
განახლების ქარი დაქრის!..

დისციპლინით მიიღწევა, —
რაც ამქვეყნად ნანატრია!
დისციპლინის განმტკიცებას
აქვს მუშური გარანტია!

ჩვენი ყველა საამაყო
გამარჯვება მისით ბრწყინავს!
დღეს, ყველგან და ყველაფერში,
გვინდა მტკიცე დისციპლინა!

დისციპლინა — გზა გმირობის,
გამარჯვების მზეთა ფენა! —
ჩვენი ბრძოლის, ჩვენი შრომის
ანბანი და დედაენა! —

დღევანდელი, ხვალინდელი
წარმატების საწინდარი!..
დისციპლინას — გული, სული,
ასი ყური, ასი თვალი!

1976 წ.

ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ! ნიანგს ეღოცავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ნიანგო!

შენც კარგად იცი, იუბილეზე იუბილარს მხოლოდ კარგ სიტყვას ეუბნებიან! ამ ხუმრობაში მესამოცე წელი წამოგპარვია!

გილოცავ!

ამბობენ, ვისაც იუმორის მადლი დაჰყვა და სცხია, დიდხანს ცოცხლობსო. თუ ასე გავთვლით, რაც შენი გაჩენის დღიდან აქამდე იუმორი გიფრქვევია, უკვდავება განაღდებული უნდა გქონდეს!

სიამაყით და სინანულით ვიგონებ შენს გვერდით ნამუშაკევ დღეებსა და წლებს. სიამაყით იმიტომ, რომ იმ ავადმოსაგონარ წარსულში არაერთხელ ვაჟკაცურად აღიმაღლე ხმა ყოველგვარი უხამსობისა და წრესგადასულობის ნინააღმდეგ; სინანულით იმიტომ, რომ სიმართლის მთქმელ პირში ხანდახან წყალი გქონდა დაგუბებული!..

დღეს შენი დღეა!

ქომაგი, ენამოსწრებული, მართლის დაუფარავად პირში მიმხლელი, გულნამცეცებისადმი დაუნდობელი და ულმობელი, მაგრამ სამართლიანი — აი, იმ თვისებების არასრული ნუსხა, რითაც ხარ პატივდადებული და ცნობილი!

მავანს და მავანს ჰგონია, სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ! რა იციან, ხუმრობაში ზოგჯერ რამხელა გულისტკივილი და ნაღველი ურევია იმ ძეძვისა და ნარ-ეკლის გამო, დღესაც აქა-იქ რომ გვებლანდება!..

ვისაც გაჭირვების ჟამს მხარში ამოდგომიხარ და ვისთვისაც ერთხელ მაინც გაგიმართავს ხელი, მჯერა, ყველა სიხარულით მოგილოცავს სახელოვან იუბილეს, ვინც გაგიმათრახებია, იმან იქნებ მოგაწყევლოს კიდეც: დაგექცეს დაბადების დღეო, მაგრამ არ შეშინდე, სანთელ-საკმეველი შენს მხარეზეა და გზას არ დაჰკარგავს!

ძვირფასო ნიანგო!

ხუმრობის გარეშე, მთელი სერიოზულობით გილოცავ დაბადების დღეს და დიდხანს იცოცხლე შენი გატკბილმწარებული ენით და კეთილი გულით!

კვლავ ყოფილიყავ აღმართ-აღმართ აღმავალი საქართველოსა და მისი ხალხის ერთგული, მათი ლხინისა და ჭირის მოზიარე!

პატივისცემით — ელგუჯა მაღრაძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი.



ნახ. დიმიტრი ერისთავისა
1973 წ.

— ამდენს უჩვენებენ ტელევიზორში ქურდებს და შენ მაინც მპარავ?!
— სად მცალია, მე, ქალბატონო, ტელევიზორის საყურებლად?!



ნახ. თენგიზ მირზაშვილისა
1965 წ.

— რა ხარების რეკვა აუტყდათ?! წირვაა?!.
— არა, ბაბო, ნაგავი მოვიდა!

იუბილარ „ნიანგს“

სამოცი წელიწადია, სულ ჭამ და ვერა ძღები! —
ჯერ მოინელე ოქტომბრის რევოლუციის მტრები! —
ბობოლებს დედა უტირე! — ატირე ცხარე ცრემლით!..
ჯაშუშებს ხაფანგს უგებდი — ხაზღვრის ფხიზელი მცველი!...
და როცა ომის ხანძარი კვამლის ფრთებს შლიდა ცამდი, —
ფაშიზმის ურჩხულს, ნიანგო, შენც გამგელებით ჭამდი!..
თვალში ვარსკვლავებს უნთებდი წითელვარსკვლავა ლაშქარს
და ცხრა მაისის დიდ ღიმილს შენც შეუძახე ვაშა!
ომი არის თუ მშვიდობა, — როდი გელევა საქმე, —
დასაგმობელს გმობ მრისხანედ, საქებს ღიმილით აქებ!
დრო-ჟამს რომ მისდევ, იზრდები და ჭაბუკდები უფრო! —
კეთილ კაცს ბუხარს უდვივებ, ბოროტ კაცს კერას უქრობ!..
არ ინდობ, ვისსა საქმესაც საეჭვო სუნი უდის:
ლოთი არის თუ მექრთამე, თახსირია თუ ქურდი!..
მუსრს ავლებ გამომძალველებს, ყალბისმქმნელებს და ჩარჩებს!..
ვისაც შენ აგებ ჩანგალზე, ღმერთიც ვერ გადაარჩენს!..
სამოცი წლისას ჯერ ერთიც არ მოგკლებია კბილი!..
დროდადრო, ახლა, მზეც ჰბაძავს შენს ტკბილ და მწარე ღიმილს!..
როდესაც ხანი გაივლის, როცა გახდები ასის, —
მწამს, — მაშინ შენი კბილები უფრო გახდება ბასრი!..
ახლა კი, როცა შენ გლოცავ, იმ ლამაზ დღესაც ვლოცავ, —
შენივ წყალობით საკბილო გამოგელევა როცა!..
ნიანგო, ჩემი კბილა ხარ, ძმურად მომხვიე ხელი! —
შენგან მოსაწვევს — ახი წლის იუბილეზეც ველი!..
გთხოვ, ამ არმაღან ლექსისთვის მაშინ დამიკრა ტაში!..
თუ ჰონორარი მერგება, ისიც მომეცი მაშინ!..

აკაკი გეწაძე

ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ! ნიანგს ულოცავენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხურვალე სალამი იუბილარს!

სამოცი წელი შეუსრულდა ჩვენს საყვარელ ჟურნალ „ნიანგს“.

სულით და გულით ვულოცავ მას სასელოვან იუბილეს და ვუსურვებ, არასოდეს დაჩლუნგებოდეს თავისი საბრძოლო იარაღი — მახვილი ჩანგალი!

ექვსი ათეული წელია, ჩვენი სახელოვანი იუბილარი ბრძოლის მოწინავე ხაზზე იმყოფება და სატირის ბასრი მახვილით ანადგურებს მუქთახორებს, წამგლეჯებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებს!.. სარეველა ბალახებივით ძირკვავს მათ ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან!

ნიანგი ბუნებამ იმითაც დააჯილდოვა, რომ მას არაფერი გამოეპარება, ყველაზე მეტად მხედველობა და სმენა აქვს განვითარებული, ამასთან ერთად, ბასრ კბილებს ერთხელ კი არა, საჭიროების მიხედვით, რამდენჯერმე იცვლის ცხოვრების მანძილზე. ხუმრობა უყვარს, მაგრამ მისი ხუმრობა ღვთის რისხვაა ყველა არაკაცისათვის!..

იუბილარი ბევრი სახელოვანი მწერლისა და მხატვრისათვის შემოქმედების სასახელო უბანია, ჟურნალის ფურცლებზე ექვსი ათეული წლის მანძილზე იბეჭდებოდა და იბეჭდება იმ გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა გვარები, რომელთა სახელები არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირშიც ფართოდ არის ცნობილი, ხოლო ზოგიერთის სახელმა, გმირი კოსმონავტებივით, მთელს მსოფლიოს შემოუარა გარშემო!..

განსაკუთრებით შეუპოვარი და შემართებულია „ნიანგის“ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, როცა რესპუბლიკაში ერთიანი ფრონტით გაიშალა შეტევა მექრთამეების, ნამგლეჯების, თაღლითების, ბიუროკრატების წინააღმდეგ!

იუმორის მაღალი გრძნობა ჯანმრთელობის სანინდარი და ელექსირია. ამიტომაც სამოცი წელი „ნიანგისათვის“ ჭაბუკური შემართების, დაუშრეტელი ენერგიის ასაკია. ვუსურვებთ იუბილარს, არასოდეს დაჩლუნგებულიყოს მისი მახვილი იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ!

მარად შენი პატივისმცემელი ნიკო შველიძე,
„ნიანგის“ ექსრედაქტორი.

ნახ. მურთაზ აბაშიძისა



— უფროსო, ხომ არაფერს დამავალებდით?!.
— ?!

გეგმა ხარისხი

წერილი სენსორს

ახლახან „საქართველოს ხსრ წითელი წიგნი“ მათხოვეს. გადავიკითხე. ერთობ მომეწონა. მაგრამ, ბოლოში რომ გავედი, მაინც გული ჩამწყდა. რატომ? — ჩემიანი ხარ და, გეტყვი:

განა, რამდენი ნიანგი ჰყავთ, ამ კაიდეგმამიშვილებს, საქართველოში, მე რომ არ შემიყვანეს „წითელ წიგნში“?!

მეტყვიან — **ტროპიკული ქვეყნიდან ხარ, სპარსული სახელი, ნიანგი, გვქვია, ჩვენს „წითელ წიგნთან“ რა გესაქმებაო?!**

სულ ტყუილია! — არა ვარ მე საქართველოს მკვიდრი?! ოდგორ?! — საქართველოში არ იცის ტროპიკული სიცხე, არ მოდის ტროპიკული წვიმები?!. ახლა სახელი გავჩხრიკოთ: რამდენი წელია, ჩემი სახელით მოგაქვს თავი?! არ მოგწონს?! აღმიდგინონ, ბატონო, ჩემი ქართული სახელი! დიდ საბას თუ დაეჯერება, ქართულად მე ხვითქი მქვია, ხვითქი! აღმიდგინონ ეს სახელი, აღმიდგინონ ჩემი თბილისელობაც — რამდენი წელია, დედაქალაქში ვცხოვრობ, თანაც შიგ შუაგულ ცენტრში, მდინარე ვერეს პირას!

მაგრამ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა.

დავუშვათ, „ქართველი“ არა ვარ!..

ხომ შეიყვანეს „წითელ წიგნში“ მცირეაზიური ტრიტონი, ხირიული კოდალა, ატლანტური ზუთხი, ხმელთაშუა ზღვის კუ, კახპიური შურთხი?!.

მე რა დავაშავე?! ალბათ, ის, რომ მეტისმეტად მოკრძალებული ვარ: ჯერ იყო და, თავის დროზე, **„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“** ჩაწერეს — **ნიანგი დიდი ზომის ქვეწარმავალია, ხვლიკისებრთა ოჯახს ეკუთვნოსო.** მაშინ ხმა არ ამოვიღე! — დამაკნინეს და ხმა არ ამოვიღე!..

ამოდენა მხეცი და ხვლიკი?! ნიანგია ხვლიკისებრი თუ ხვლიკი უნდა იყოს ნიანგისებრი?! ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგის — კაკალი არა — და ამიტომ?!

ხვლიკო, ქვეწარმავალიო!.. ქვეწარმავალი არა და, რაკუოლად რომ გითხრათ, წარმავალი ქვე ვარ! თუ არ გჯერათ, მოდით და მნახეთ, **რა დღეში ვარ! — მეც და ჩემი მეზობლებიც!..**

„წითელ წიგნში“ **არ შეგვიყვანეს, მაგრამ „წითელ ზოლში“** რომ კარგა ხანია მოვხვდით, ეს ფაქტია! მოვხვდით და, **მას შემდეგ, სულ გვპირდებიან — ზოოპარკს მალე სხვა ადგილს მივუჩენთ, ახალ კომფორტულ ბინებს მოგცემთო! შენც არ მომიკვდე!.. წელან გითხარი, მდინარე ვერეს პირას ვცხოვრობ-მეთქი. მიდიხ, მიგორავს ვერე და მხოლოდ ეს მესმის: მერე! მერე!.. როდისღა?! როდის?!.**

არ მინდა, ბატონო, თქვენი ახალი ბინა! — დამითმეთ წიგნის ერთი ფურცელი, დამხატეთ, აღმწერეთ, გამალამაზეთ და გავერევი მეც „ხალხში“!

იშვიათი სახეობაც ვარ, თქვენნაირიც ვარ, მოვლა-პატრონობაც... მაკლია!..

ჰოდა, შემიყვანეთ „წითელ წიგნში“!

ნიანგა ვერესპირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრული შარჟები
ბიბლა ფირცხალაიასი

ნოდარ დუმბაძე.
„ნიანგის“ ექსრედაქტორი.

ვინაღაცის რეპუტაცია

მე და ის ერთად ვისხედით სკოლის უკანა მერხზე, დაფისკენ მიბრუნებულ მასწავლებელს ერთად ვუყოფდით ენას და ერთად ვაბარებდით საშემოდგომო გამოცდას. ეს იყო 15 წლის წინათ. 15 წელია, არ მინახავს იგი. გულის ფრიალით ავედი მეოთხე სართულზე და თითი ელეეტროღილაკს დავაჭირე!.. ნეტავ, თუ მიცნობს?!.

— ოი, მიგახმა ეგ ხელები! როდის გადაეჩვევა ასე გიუივით რეკვას?! — მომესმა შიგნიდან.

სასწრაფოდ ავიღე თითი ღილაკიდან და გავწითლდი. კარი 7-8 წლის ქერათმიანმა გოგონამ გამიღო. გამიკვირდა.

— ნუგზარ ამანათიძე აქ ცხოვრობს, გოგონა?

— ჩემი მამაა.

— ნე ბიძია შოთა ვარ, მამას ამხანაგი.

— რა კარგია, რა კარგი! მამუკა, მამას ამხანაგი ბიძია შოთა მოვიდა! — გასძახა ვიღაცას გოგონამ და ოთახში შეკუნტრუშდა. შევყევი. ფეხებში 6-7 წლის ბიჭუნა შემომებლანდა.

— მამიკო და დედიკო სახლში არიან?

— არ არიან, ბიძია, მალე მოვლენ.

— თქვენ- რაღას აკეთებთ? — ვკითხე მე

— სახლობანას ვთამაშობთ, მე მამა ვარ, მზია კი — დედაა! — ამიხსნა მამუკამ.

— ითამაშეთ, ითამაშეთ, პატარებო! — ვუთხარი, პაპიროსი გავაბოლე და ფიქრი დავიწყე. ნეტავ, როგორ ცხოვრობს ნუგზარი? როგორ მოეწყო? ბედნიერი თუა?..

უცებ ბავშვების ხმა მომესმა და შიშისგან თმები დამიხუჭუჭდა.

— რა გაქვს, ქალო, დღეს სადილად?! — დაბოხებული ხმით კითხულობდა მამუკა.

— ბუს კვერცხები! რა დამიტოვე და რას მთხოვ?! — იყო მზიას პასუხი.

— არ მოიშალე მწარე ლაპარაკი?!

— შენ რა გენაღვლება, შეხვალ რესტორანში და გასკდები! ჩვენ თუ გვინდა რამე, არ კითხულობ!..

ცივმა ოფლმა შუბლი გამიყინა.

— წუხელ ვისთან ეგდე?! — დაიწყო ახლა მზიამ და პატარა ხელებით დოინჯი შემოიყარა.

— არ არის შენი საქმე!

— არ არის, ხომ?! მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა საყვარლებში სიარული!

— ლაო, ლამ გაგაგიჟა?!

— აღარ შემიძლია მეტი! წავალ ჩემს სახლში და, როგორც შენი ყურების ნახვა არ გეღირსება, ისე ამ ბავშვების ნახვას არ გაღირსებ!

— ჩავიხედავ სარკეში და დავინახავ ყურებს! — იხუმრა მამუკამ.

— შენ ჩაიხედე კუბოში და შენ დაინახე სიკვდილი! — აზღუქუნდა მზია, თოჯინებს ხელი სტაცა და კარებისკენ წავიდა. შემაჟრჟოლა!..

— სად მიდიხარ, ქალო?! — შეჰკრა წარბი მამუკამ.

— რა შენი საქმეა?!

— თქვი, ქალო, თორემ გავგიჟდები და დავამტვრევ ყველაფერს!

— რაღა დაგრჩა დასამტვრევი?!

— ბავშვები დატოვე და შენ, სადაც გინდა, წაეთრიე!

— შენი თავის გახეთქამ!

— ბიჭი მაინც დატოვე!

— არა-მეთქი! — ინივლა მზიამ და ფეხები დააბაკუნა.

— დატოვე, თორემ ხომ იცი?! — დაბრიალა თვალები მამუკამ და მზიას მუთაქა ესროლა.

— ვის უბედავ, შე მხეცო, ცემას?! — შეიცხადა მზიამ და ისე ჩასცხო ძმას თოჯინა თავში, რომ მამუკამ თვალები ამოატრიალა!..

მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა, ჩავვარდი შუაში გასაშველებლად.

— გრცხვენოდეთ, ბავშვებო! ვინ გაიგონა ასეთი თამაში?!.

— თავი დამანებე, ქეთო! თქვენ რა იცით მეზობლებმა, რა დესპოტია ეგ?! მაგან დამაბერა და გამიშრო სისხლი! მაგან მოსპო ჩემი ახალგაზრდობა! მაგან გამაყვითლა და დამაჭკნო ყვავილივით! შეხედე, რას ვგავარ?! — მეუბნება მზია და თან წითელ ლოყებზე ხელებს ისვამს.

— არ დაუჯერო მაგ ქაჯს! — მეხვეწება მამუკა.

— დაწყნარდით! — ვიღრიალე. ბავშვები შეკრთნენ. სული რომ მოვითქვი, ორივეს დედა დავაფიცე — სახლობანა აღარასოდეს ითამაშოთ-მეთქი, და გარეთ მთვრალივით გამოვედი!..

„ო, რა საათივით აუწყვია საქმე ჩემს ძმაკაცს?! რა ტკბილი ცხოვრება ჰქონია?!“ — ვფიქრობდი ეზადაეზა და მამუკა და მზია ბაგონდებოდა, რომლებიც, ვინ იცის, ოჯახური დრამის რომელი მოქმედების გენერალურ რეპეტიციას გადიან ახლა?!.

ნოდარ დუმბაძე
1956 წ.

ნახ. ჯემალ ლოლუასი



ახალი ძველი თბილისი



ძველი ახალი თბილისი

უსიტყვოდ

ევგენი ევტუშენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორი

მეფე,
ხელმწიფე,
იმპერატორი,
ვინ იცის,
რამდენ პარადს სარდლობდნენ?! —
ქვეყნიერების იყვნენ პატრონი,
იუმორისა კი —
არასოდეს!..
ციხე-დარბაზი ლხინით ტკბებოდა,
თვით ჩიტის რძესაც კი არ ნატრობდნენ,
მაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა
და დიდებულნი ჰგავდნენ მათხოვრებს!..
ფარისევლობა უმალ ქრებოდა, —
ხუმრობის ისრით თვალღანაშრეტი, —
თავქუდმოგლეჯით იკარგებოდა,
ემალებოდა მოლა ნასრედინს!..
მოსყიდვა სცადეს,
მაგრამ —
ამაოდ! —
ვერ მოისყიდის იუმორს კაცი!
მოკვლა უნდოდათ —
„სცადეთ, აბაო!“ —
თავს უშველა და უჩვენა ბრაწი!
მისი მომრევი არ გაჩნდა მკლავი,
ყველა განსაცდელს და სასჯელს
უძლებს!..
მას არაერთხელ მოჰკვეთეს თავი
და შუბოსნებმა ააგეს შუბზე!..
მაგრამ
მოჰკრავდა ყურს ხტვირის დაკვრას,
მესტვირის შაირს,
იგავს, თუ
ზღაპარს, —
დაიძახებდა მკვირცხლად —
„მე აქ ვარ!“ —
ჩამოუვლიდა მაშინვე სწრაფად!
ბრალდება ჰქონდა პოლიტიკური,
გეგონებოდა, ყისმათს მინებდა! —
მიაბიჯებდა
თავჩაქინდრული,
თითქოსდა, ცოდვას ინანიებდა!
დაემორჩილა თითქოს განაჩენს
და სული უკვე მიანდო ზენარს,
მაგრამ დაუძვრა უცებ დარაჯებს
და ხელს უქნევდა —
„ოლოლო თქვენა!“
ჰყავდათ ჯურღმულში გამოკეტილი,
მაგრამ ის ამას როდი დარდობდა?! —
გამოარღვევდა ქვიტკირის კედელს
და ისევ ლაღად დანავარდობდა!..
ფანდები სცადეს ათასნაირი,
მაგრამ არ იქნა,
ვერ დაამარცხეს! —
შაშხანითა და ბასრი შაირით
იგი იღებდა ზამთრის სახახლეს!..
ის შეეჩვია მრისხანე მზერას! —
რა ბედენაა, —
უცქირონ თარხად!..
და იუმორი, —
ხვეის გულს რომ ხერავს,
ხანდახან ქირდავს
საკუთარ თავსაც!..
ის უკვდავია! —
ყველგან შემღწევი!..
ის არ დაგიდევს
დროსა და მანძილს!..
ჰაშ, იუმორი იყოს დღეგრძელი! —
ეს უშიშარი,
მამაცი კაცი!

თარგმნა ბიორბი სალუქვაძემ



ნახ. ზურაბ ლეჟავასი 1974 წ.

მილწევათა „შეჯამება“

ნახ. ვაჟია ბალაჯონისი 1968 წ.

— ჩემი თაიგული რაზე მიისაკუთრე?!
— კაცო, შენ მასნავლი ვისია?! ჩემს ბაღში დავკრიფე თვითონ!



ნახ. ზურაბ ფერეულისა 1960 წ.

— ჩვენი ახალი რევიზორი, თურმე, არც ხორცს ჭამს და არც ღვინოს სვამს!..
— აბა, რა უნდა რევიზორად?!

დიალოგი ნიანგთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძვირფასო ნიანგო! ამ 60 წლის წინათ გადანყვიტეთ, გასცლოდით ცხოველთა სამყაროს და გეცხოვრათ, გეშრომათ ადამიანების გვერდით. ხომ არ არის თქვენს ცხოვრებაში ნუთები, როცა ნანობთ ამ გადანყვეტილებას?

— გაჭირვებას არასოდეს შევუშინებივარ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ 60 წლის მანძილზე ადამიანების მხარდამხარ, პატარა ჭაპანი მეც გამიწევია უთუოდ დამეთანხმებით — არ ვნანობ!

— ჩვენი საზოგადოებრიობა გულწრფელი სიყვარულით აღნიშნავს თქვენს იუბილეს და ეს დიდი სიყვარული, თქვენ ადამიანებისადმი ერთგულებით, პირდაპირობითა და სამართლიანობით დაიმსახურეთ!

— საერთოდ, წინააღმდეგი ვიყავი ამ იუბილესი, იცით თურმე, მხეცებს რა უთუვამთ? — თვითონ ჩაანყობდა, თორემ ადამიანებს ლომებისთვის არ გადაუხდიათ იუბილე და რაღა ნიანგს უხდიანო?

— რა აზრისა ხართ ადამიანებზე და, ამასთან დაკავშირებით, როგორია თქვენი მიზნები?

— ადამიანი ბუნების გვირგვინია, მაგრამ, ამავე დროს, მას საოცარი შინაგანი წინააღმდეგობებიც ახასიათებს. ერთი აშენებს, მეორე ანგრევს, ერთი ქმნის, მეორე იხვეჭს!.. მე ჩემი ცხოვრების უმთავრეს მიზნად სწორედ ამ ნაკლის წინააღმდეგ ბრძოლა მიმაჩნია. ადამიანების ერთი ჯგუფი, ლამის არის, გადაყვეს სიმდიდრის, ოქროს ნივთების შეძენას, თავი მოსწონთ: თითებზე — ოქრო, ყელზე — ოქრო, ყურებზე — ოქრო. ცხვირიღა რჩებათ. ჩვენ ცხოველები, სხვაგვარად ვუყურებთ ამას, მაგრამ ზოგიერთ ადამიანს არ ესმის ცხოველების ენა.

— თქვენ გესმით?

— როგორ არა. საერთოდ, ჩვენ განსაკუთრებული მოწიწებით ვეპყრობით საკუთარ ენას. თუმცა, არიან ისეთებიც, მაგალითად, თუთიყუში, რომლებიც რომელიმე უცხო სიტყვას დაიზეპირებენ და სულ იმას გაიძახიან. ზოგიერთ ადამიანს ბაძავენ. ისე კი, ზოგჯერ ადამიანებიც ბაძავენ ცხოველებს. საიუბილეოდ რესტორანში ვიყავი — სტუმრები მყავდა. შედიან ადამიანები, კოხტად აცვიათ, ახურავთ, თავაზიანად ესალმებიან ერთმანეთს, არავისაც არ ბაძავენ. გამოდიან რესტორნიდან, ზოგს ტანსაცმელი შემოუხევია, ზოგი ღრიალებს, ზოგი ცდილობს, ჩვენსავით ოთხი ფეხით იაროს. რატომ?! — ვერ გამიგია!

— რა გესახებათ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამოსწორების უტყუარ გარანტიად?

— ადამიანების შინაგანი კულტურის ამაღლება. ის შინაგანი ძალისა, რომელიც გვიკარნახებს წესიერებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, თავშეკავებას. ამას წინათ, ერთ დიდ სოფელში, ქელეხს შევესწარი. ორასამდე კაცი იჯდა. გამიკვირდა — ორშაბათი დღე იყო. ამიხსნეს: გასვენება კვირას გვქონდა, დღეს მომსახურე პერსონალი „ნაყრდება“, ხვალ კი ხაშის დღეაო! “ათასიანი“ ქელეხი იყოო! — თავს იწონებდნენ იქაურები. მაინც ვინ იყო ამ დენი ხალხი? — ვიკითხე. ოთხი ბიჭი დარჩა, თბილისში სამ-სამ ადგილას „მუშაობენ“ და უამრავი თანამშრომელი ჩამოუვიდათო. ბოზბაშის ჯამების ჩამორიგებას რომ თავი დავანებოთ, არ გინდა, ათას კაცს ხელი გადააბანინო?! ლამაზია?! მაგრამ არ იფიქროთ, დაკრძალვას ყველა „მგლოვიარე“ დასწრებოდეს! აი, ერთი დეპეშა: **„სიამოვნებით ვიზიარებ თქვენი ოჯახის მწუხარებას და ძალიან ვწუხვარ, რომ დასაფლავებას ვერ ვესწრები“.**

ახლა ორმოცი?! ნლისთავი?! ანდა, ქორწილი?!

თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებით წითელი ბაფთებით მოკაზმულ „ვოლგებს“, რომლებიც გამაყრუებელი სირენებით მიიკვლევენ გზას საქორწილო სუფრებისკენ. ეგეს, ვცდები, მაგრამ, რა საჭიროა ეს გამაყრუებელი სირენები?!

— თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?

ვერ გეტყვით! იქნებ იმიტომ, რომ ნამეტანი მოგროვდა „ნასწავლი“ ხალხი. ზოგიერთმა ახალგაზრდამ ხელი უშვა თოხს, ჩაქუჩს და „პასტა“ ამჯობინა. ასე მივილეთ საეჭვო მნერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, უმცროსი და უფროსი მეცნიერი მუშაკები... გაიხედავ და — ყველა მღერის, ყველა ცეკვავს, ყველა უკრავს! — ყანაში მუშაობას ეს არ სჯობს?! ეჰ, ერთი სიტყვით, მგონი, ჯერჯერობით პურს ამაოდ არ ვჭამ! ჯერ კიდევ საჭირო ვარ!..

— კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს! გმადლობთ საუბრისათვის!

ნიანგს ესაუბრა ზურაბ ძაჯაია

„ნულოვანი ვარიანტის“ ახალი ვარიანტი

რეიგანის ადმინისტრაცია, გამალებული შეიარაღების კურსს რომ ადგას, სავსებით განსახორციელებელ საქმედ მიიჩნევს პენტაგონის მიერ შემუშავებულ „ძლევამოსილი“ ბირთვული ომისა და „პირველი დარტყმის“ უგუნურ კონცეფციებს. აშშ-ის მმართველი ზედაფენების ავანტიურისტული პოლიტიკა დიდ შეშფოთებას იწვევს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა ხალხებს არა სურთ გახდნენ თავიანთი ოკეანეს-გაღმელი მოკავშირეების ბირთვული მძევლები.

ვოლფგანგ ებერტი

ჟურნალი „შტერნი“ გფრ

კითხვა: რომელი იარაღი ითვლება ჩვენს დროში ყველაზე საშიშრად?

პასუხი: რაკეტა „რეიგან — 1“!

კითხვა: სად მდებარეობს მისი მთავარი ბაზა?

პასუხი: ვაშინგტონში, შეერთებული შტატების დედაქალაქში!

კითხვა: უფრო ზუსტად?

პასუხი: თეთრ სახლში!

კითხვა: რა ხდის ასე საშიშრად „რეიგან — 1“-ს?

პასუხი: ეს, უპირველეს ყოვლისა, არის წინასწარ გაუთვალისწინებლობა. რაკეტა ეშვება ხან აქ, ხან — იქ, და ყველგან ისეთი ზარალი მოაქვს, რომ მისმა შედეგებმა, შეიძლება, მომავალ თაობებზეც კი იმოქმედოს!

კითხვა: ნგრევა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ხდება?

პასუხი: საკუთარ ბანაკშიც კი! კონსტრუქციულ ნაკლოვანებათა გამო, რაკეტა უკან ბრუნდება ხოლმე ბუმერანგივით და შიგ ვაშინგტონის შუაგულში ფეთქდება!..

კითხვა: რა ტრაექტორიით მიფრინავს რაკეტა?

პასუხი: ეს ამოუცნობი გამოცანაა მთელი მსოფლიოსათვის. იგი გამუდმებით იცვლის კურსს, ხან მარცხნივ ბრუნდება, ხან — მარჯვნივ, ხანდახან კი კოსმოსში აჭრაც სურს!..

კითხვა: კი მაგრამ, ნუთუ, არავის ძალუძს, კონტროლი დააწესოს რაკეტაზე, მოახდინოს მისი კურსის კორექტირება?

პასუხი: ამას ცდილობს ამერიკის კონგრესი, მაგრამ, ჯერჯერობით, წარუმატებლად. რაკეტა, ფაქტობრივად, მართვას არ ემორჩილება!

კითხვა: რაში მდგომარეობს „რეიგან — 1“-ის მთავარი კონსტრუქციული ნაკლი?

პასუხი: „რეიგან—1“ წარსულის ტიპობრივი პროდუქტია, რომელშიც უკვე ველარაფერს გამოასწორებ!

კითხვა: სად შეიძლება, ნახოს კაცმა რაკეტის მოქმედების შედეგები?

პასუხი: დეტროიტში მან მოსპოათი ათასობით სამუშაო ადგილი. სამხრეთ ბრონქსი კი ნანგრევებად აქცია (სამხრეთ ბრონქსი ნიუ-იორკის უბანია, რომელიც მთლიანად გაუდაბურდა. **რედ.**).

კითხვა: მაინც რამდენია „რეიგან — 1“-ის მსხვერპლი?

პასუხი: ძნელია, ზუსტი რიცხვის დასახელება, მაგრამ ლაპარაკია 10 მილიონ სამუშაო ადგილზე, ათასობით გაკოტრებაზე და ამერიკის მიერ მეგობრების დაკარგვაზე, რომლებსაც უკვე აღარ ძალუძთ „რეიგან — 1“-ის კურსით სიარული!

კითხვა: ახლა საით უჭირავს რაკეტას გეზი?

პასუხი: „ცივ ომს“ უბრუნდება!

კითხვა: მაინც რამდენი საბრძოლო თავმუხტი დასჭირდება, რომ სამყაროს მეორედ მოსვლა დაატყდეს თავს?

პასუხი: ამისათვის ერთი თავიც საკმარისია, სწორედ-ისა, თეთრ სახლს რომ განაგებს!

კითხვა: და იმ ერთ თავზე იქნება **დამოკიდებული კაცობრიობის** ბედი?

პასუხი: აუცილებლად, თუ ამერიკელებმა უარი არ თქვეს „რეიგან — 1“-ზე. ეს შეიძლება მოხდეს არა უადრეს ორი, ან ექვსი წლისა (უახლოესი პრეზიდენტის არჩევნები აშშ-ში გაიმართება 1984 წელს **რედ.**).

კითხვა: დაბოლოს, მაინც რაში გამოიხატება „ნულოვანი ვარიანტის“ არსი?

პასუხი: „ნულოვანი ვარიანტი“ იქნება ის, რაც მსოფლიოსაგან დარჩება, თუ „პირველი დარტყმისათვის“ გაუშვეს „რეიგან — 1“!

— ეს რა, მარათონია?!
— არა, გამოუცხადებიათ, ათი თავისუფალი სამუშაო ადგილი გვაქვსო!..

„დეილი უორლდტი“ (აშშ)

გაზეთი „ზა რუბეჟომ“

Tarima de Libro
ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი ხელჯოხის“ მოდერნიზებული ვარიანტი
დაბეჭდილია ნიკარაგუას ცენტრალურ გაზეთ
„ნუევო დიარიოში“

ამერიკელ დაქირავებულთა უთუო ბოლო

ესოდოსა — გივი ლომიძეს
ოცდ მხატვარ-კარიკატურისტს ყველთაგან ვხვდები
ხალისით!—
ანმეფიათი წელია, მეკვლია ჩემი კარიბჭის!
ჩემს მარხვაზე, ვამჯობინეთ საკვანძოვანი ვინაცვლ!
ოცეულად მიმიახლოვა! — ამდროზე ვახდი ამინდის!
საფრთხის ბიბლიოფილია, ნიშანს ფურცელ ხარისხის!
მშვიდობის აქრა მიდიოდა მარცხივ ჩიტი შალიაში!
ჩამოვიტანა ბაიკალიდან, — ზაფხულად თვითონაც ეს იყო!
მის ვამაცენ მაცხოვნეს ბოლნა ჩამე, ბარიზეულ!..
ყველმარა მის კეთილ,— ეს ეშინია ახვილი! —
ანა წლის ოყ, ჩალეკეს ვაიტანეთ ფარიზმი!..
მეს შემდეგ ჩვენს ამფიგნ ძარა ყიანის
ვინალეკ-ლარეზმის ქარიშხალი!..
ყოველი ნოდაშინდი შეარეზილი ჭეკვ ანინეთ!..
ომარიოლოლის ეკეკლის ყნოეს და ბერნაზის ანაკ
„ეანიდანი“!..
ლომიძის გავლენაზე ეანალეს ეაპიოლიერი!..

ნიანგი

იუმორი და გამჭრიახი ფინეგა — მშვიდობის სამსახურში

გივი ლომიძე! — ახლა ეს სახელი კარგად არის ცნობილი **ლათინური ამერიკის** მცხოვრებთათვის, რომლებმაც ამ ოსტატის **ჩინებული კარიკატურების, ბასრი სატირის, ნახატის საშუალებით** იციან ყველაფერი ის, რისი გადმოცემაც, შეიძლება, მილიონი სიტყვითაც ვერ შეძლო!

საბჭოთა ქვეყნისათვის განსაცდელის ჟამს — დიდი სამამულო ომის წლებში — იგი ამიერკავკასიის რკინიგზაზე დისპეტჩერად მუშაობდა! — მას არ შეეძლო ფრონტზე წასვლა ქვეყნისათვის, გამარჯვებისათვის — მისი სამუშაოს საარსებო მნიშვნელობის გამო. რკინიგზაზე **გივი ლომიძე** ხედავდა ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდა მებრძოლებთან ნათესავ-მეგობრების ნაღვლიან განშორებას (ვინ იცის, რამდენი მათგანი ვეღარ დაბრუნდებოდა?!), მოწმე იყო ათასობით დედისა და შვილის ცრემლისა, ხედავდა ახალგაზრდა ცოლების გაფართოებულ თვალებს, ხშირად ამაოდ რომ დაეძებდნენ ქმრებს ათასობით დაჭრილთა შორის, ფრონტიდან მოსული მატარებლის ვაგონებში...

ამიტომაც იცის **გივი ლომიძემ**, თუ რა არის ომი და არსურს, კვლავ განმეორდეს იგი! მას — **კარიკატურის ხელოვნებით სრულყოფილად აღჭურვილ მხატვარს** — თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მშვიდობის დაცვის საქმეში. **მისი ნახატები აინტერესებს ლათინური ამერიკის გაზეთებისა და ჟურნალების ათასობით მკითხველს, მათ შორის ნიკარაგუას, დედაქალაქის გაზეთ „ნ უ ე ვ ო დ ი ა რ ი ო ს“ მკითხველებს.**

მე პატივი მხვდა წილად, მეგობრულად ჩამომერთმია მისთვის ხელი და ვწვეოდი თავის მშვენიერ ოჯახში. ეს შეხვედრა ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ეს დიდებული ადამიანი არაჩვეულებრივად თავმდაბალი და უბრალოა. მისი თავმდაბლობა და უბრალოება ისეთივე მომხიბვლელია, როგორც მისი ნიჭი, ნიჭი მხატვრისა. **„ნუევო დიარიოს“** შესაძლებლობა ჰქონდა, თავის მკითხველებისათვის გაეცნო **გივი ლომიძის შემოქმედების ნიმუშები.**

ეს სტრიქონები კი საბჭოთა კავშირში ჩემი მოგზაურობის დროს დაიწერა და მოწმობს ჩვენს სიმპათიებს **გივი ლომიძისადმი, ახლა თავისი მშობლიური „ნიანგის“ 60 წლისთავს რომ ზეიმობს!** „ნიანგში“ კი **გივი ლომიძე** აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თანამშრომლობს. ამ საქვეყნოდ სახელგანთქმული მხატვრის ნამუშევრები მარტო „ნიანგში“ კი არ იბეჭდება, — **მის კარიკატურებს ბეჭდავს „პრავდა“ და „კროკოდილი“, სსრ კავშირის სხვა ჟურნალ-გაზეთები, მის ნამუშევრებს ნახავთ ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკის, კუბის, დომინგოს რესპუბლიკის, პანამის პრესაში და, რა თქმა უნდა, ჩვენს „ნუევო დიარიოში“.**

იმედია, სანდინოს მშობლიური ქვეყნის მკვიდრთ კვლავ ბევრჯერ აღაფრთოვანებს ამ გამოჩენილი მხატვრის შემოქმედება!

ადოლფო მირანდა საენსი,

სამართლის დოქტორი, ნიკარაგუას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გაზეთ „ნუევო დიარიოს“ მიმომხილველი და ჟურნალ „ამანესერის“ ხელმძღვანელი.

7-83 83-507



ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 12-13 (1647) ივნისი-ივლისი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუბალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 11.5. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 7. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 1269. უე 01237 ტირაჟი 138.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 40 კაპ.
ინდექსი 76137

№ 507 83
11.VIII